დავით ბულია

საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა: სისხლისსამართლებრივი დახასიათება

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, დავით ბულია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი : 30.06.2021

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი დავით ბულიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა: სისხლისსამართლებრივი დახასიათება და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზვიად როგავა

თანახელმძღვანელი:

თარიღი :

რეზიუმე

ნაშრომი შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკულად მნიშვნელოვან, 214-ე მუხლს, რომელიც იცავს არაერთ სამართლებრივ სიკეთეს და დიდ როლს თამაშობს როგორც ქვეყნის ფინანსური ინტერესების, ასევე უსაფრთხოების, მშვიდობის, გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში. მუხლის შემადგენლობიდან გამომდინარე ის ასევე არის მნიშვნელოვანი გარანტი ჩვენი რეგიონისთვისაც. სწორედ მისი ზემოაღნიშნული მრავალმხრივობა წარმოქმნის რიგ პრობლემებს პრაქტიკული კუთხით, ვინაიდან იცავს ისეთ სფეროებს, რომლებთან დაკავშირებით, არათუ სისხლისსამართლებრივი რეგულირების საკითხი, არამედ საქართველოს შესაბამისი ადმინისტრაციული კანონმდებლობაც დახვეწას საჭიროებს.

ნაშრომის ფარგლებში განხილულ და შეფასებული იქნა სასამართლოს კონკრეტული საქმეები და ზოგადი პრაქტიკა. გამოთხოვილი იქნა საჯარო უწყებებიდან კონტრაბანდასთან დაკავშირებული ინფორმაციები (სტატისტიკა) რეალური ვითარების ანალიზისთვის. მოძიებული იქნა სამეცნიერო წრეებში არსებული მოსაზრებები, ლიტერატურა და სახელმწიფოს გაცხადებული მიდგომები მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებთან მიმართებით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება შესწავლისა და ანალიზის შედეგად დადგენილ საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ ხარვეზებზე, ამავდროულად მოცემული იქნება რეკომენდაციის სახით პრაქტიკისა თუ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების გზები.

Abstract

The master's thesis refers to one of the most critically important articles of the Criminal Code of Georgia, Article 214, which protects a number of legal benefits and plays a major role in the financial interests of the country as well as in the areas of safety, peace, environment and health. Due to the length of the article, it is also an important guarantee for our region. It is the above versatility that poses a number of problems in practical terms. As this article covers areas in which both the issue of criminal regulation and the administrative legislation of Georgia need to be refined.

Specific cases and general practice of the court were reviewed and evaluated within the framework of the master thesis. Information (statistics) related to smuggling was requested from public agencies for analysis of the real situation. Opinions, literature and the stated approaches of the state regarding the mentioned actions were found.

The master's thesis will focus on the legislative or practical shortcomings identified as a result of the study and analysis. At the same time, ways to improve the practice or the legal framework will be given as a recommendation.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი 9

თავი II. ქმედების შემადგენლობა 12

2.1 ქმედების ობიექტური შემადგენლობა 12

2.1.1 ქმედების სუბიექტი 12

2.1.2. დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი 17

2.1.3. დანაშაულის საგანი 19

2.1.3.1 თავისუფალ მიმოქცევაში სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი მოძრავი ნივთები. 19

2.1.3.1.1. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი მოძრავი ნივთების დიდი ოდენობით 19

2.1.3.1.2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ან სხვა კულტურული მემკვიდრეობა 24

2.1.3.1.3 ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობა ან ნაკეთობის ჯართი 27

2.1.3.1.4. ნაღდი ფული და ფასიანი ქაღალდი 28

2.1.3.2 თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული ნივთები 30

2.1.3.2.1 შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებები 31

2.1.3.2.2 რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერებები 34

2.1.3.2.3. შეიარაღება, ასაფეთქებელი მოწყობილობა და ცეცხლსასროლი იარაღი 42

2.1.3.2.4 მასალები და მოწყობილობები, რომლებიც გამოყენება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად 47

2.1.3.2.5. სტრატეგიული ნედლეული 49

2.1.4. დანაშაულის ჩადენის ხერხები 50

2.1.4.1. მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით 55

2.1.4.2. მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი საბაჟო კონტროლისგან მალულად 56

2.1.4.3 ქმედება განხორციელებული დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით....57
2.1.4.4 მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით....60
2.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - განზრახვა....63

თავი III. დაუმთავრებელი დანაშაული 65

თავი IV. დამამძიმებელი გარემოებები 67

დასკვნა....72

ბიბლიოგრაფია....74

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ეხება საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულს – საქართველოს საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანის წესების დარღვევას. აღნიშნული დანაშაული ჩვენი ქვეყნისთვის აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე წარმოადგენს ტრანზიტულ ქვეყანას და რეალურად ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვასთან ერთად ხორციელდება რეგიონის მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვაც.

პრობლემას წარმოადგენს, საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილ დანაშაულებზე საკმაოდ მწირი სამეცნიერო ლიტერატურა. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება ძირითად სახელმძღვანელოებშიც სულ რამდენიმე გვერდით შემოიფარგლება. ამასთან, პრაქტიკაც ძალიან ზედაპირულია და აღნიშნულ მუხლზე მიღებული გადაწყვეტილებები მშრალი სამართლებრივი დასაბუთებით გამოირჩევა. უზენაეს სასამართლოსაც სულ რამდენიმე გადაწყვეტილება აქვს მიღებული მუხლთან დაკავშირებულ საქმეებზე მთელი არსებობის მანძილზე. უფრო მეტიც, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებიდანაც ძალიან ცოტა თუ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოებში. არადა, დანაშაულის შემთხვევათა რიცხვი არც ისე ცოტაა. 2018-2019 წლებში გამოძიება 214-ე მუხლით 275 - საქმეზე დაიწყო, საიდანაც სისხლისსამართლებრივი დევნა 253 პირის მიმართ განხორციელდა[1] და შეწყვეტის მაჩვენებელი არცერთ მათგანზე არ დაფიქსირებულა[2].

[1] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, 2020 წლის წლიური ანგარიში, გვ. 36.
[2] საქართველოს პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, წერილის N13/35540

ზედა ინსტანციებში საქმეთა ნაკლებობის მიზეზად შესაძლოა მივიჩნიოთ საქმეთა უმრავლესობის საპროცესო მორიგებით დასრულება.

პრობლემურია კვალიფიკაციაც აღნიშნულ საქმეებზე, როგორც სხვა მომიჯნავე დანაშაულებთან მიმართებით, ისე თვითონ მუხლის შიგნით, რომელიც თავისი თავისებურებიდან გამომდინარე 4 ალტერნატიული ქმედებაში გამოიხატება. სასამართლოები ხშირად მსგავს ქმედებებს განსხვავებულ სამართლებრივ შეფასებებს აძლევენ, თანაც ისე, რომ არ შედიან ქმედების სიღრმისეულ დახასიათებაში. ეს ალბათ განპირობებულია იმით, რომ თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება სასჯელზე პროკურატურას, რა დროსაც სასამართლოს მიერ ქმედების შემადგენლობაზე მსჯელობა არარელევანტური და ზედმეტია.

ნაშრომის მიზანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის სისხლისსამართლებრივი ანალიზი, რათა გამოკვეთოს პრაქტიკულ-სამართლებრივი რეგულირების პრობლემები, შეისწავლოს საბაჟო სფეროში ქმედების დანაშაულად აღიარებისა და მისი დანაშაულად კვალიფიკაციის სადავო საკითხები, დასახოს შესაბამისი ნორმატიული ბაზის სრულყოფის გზები.

ქმედების შემადგენლობა თავისი ბლანკეტური შინაარსიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსთან ერთად მოიცავს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობასაც. შესაბამისად, მასზე მსჯელობა, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისა, საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კოდექსებისა და სხვა მომიჯნავე საკანონმდებლო აქტების განხილვის გარეშე შეუძლებელია. ამასთან, განსახილველი დანაშაულის საგანი მრავალრიცხოვანია, რომლებზეც ცალკე-ცალკე კონვენციებია შემუშავებული და მათ საფუძველზე მიღებული უამრავი საკანონმდებლო აქტი არსებობს. აუცილებელია დანაშაულის საგნებისა და ცალკეული პროცედურების განმარტება შესაბამისი აქტების საფუძველზე. ვეცადეთ ნაშრომში მაქსიმალურად ლაკონურად გადმოგვეცა ზემოაღნიშნული კანონებით დადგენილი ცნებები და პროცედურები, რათა არ გავცდენოდით ქმედების სისხლისსამართლებრივი დახასიათების ფარგლებს.

ნაშრომში დასმული პრობლემების განხილვისას გამოყენებული იქნება, როგორც ანალიტიკური, ასევე შედარებითი მეთოდი. ამ მიზნით, გაანალიზებული იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები, სტატისტიკური მონაცემები, მიმოხილული იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები, მითითებული იქნება პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

ნაშრომი შედგება შესავალისგან, ძირითადი ნაწილისგან და დასკვნისგან. ძირითად ნაწილი შედგება 5 თავისგან: I თავი შეეხება განსახილველი დანაშაულის არსს; II თავში მიმოხილულია ქმედების შემადგენლობა; III თავში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის თავისებურებები; IV თავში საუბარია დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებზე.

თავი I. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი

საბაჟო გადასახდელების ინსტიტუტს კაცობრიობის ისტორიაში ღრმად აქვს გამდგარი ფესვები. მაგალითად, შუა საუკუნეებში გადასახდელებს უწოდებდნენ მოსაკრებლებს, რომლებსაც კრეფდნენ ქალაქები, სახელმწიფოები, ფეოდალები. განსაკუთრებით გავრცელებულს წარმოადგენდა გადასახდელები ქალაქებისა და სამთავრობოების ტერიტორიაზე შესვლისა და გადაადგილებისთვის, ასევე მოვაჭრეთა მოსაკრებლები, რომლებიც იმ დროისთვის მოგზაურთა ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ[3].

საბაჟო გადასახდელების დაწესების დროიდანვე იდგამს კონტრაბანდა ფეხს. მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში კონტრაბანდის დანაშაულები აღიარებულია, როგორც კრიმინალური საქმიანობის ყველაზე საშიში სახეობა. ზოგადად სხვა დანაშაულის მსგავსად, კონტრაბანდის დანაშაულები აშკარად იარსებებს, სანამ სახელმწიფო საზღვრები არსებობს. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კონტრაბანდა ხდება. ამ ქვეყნებში არ არის განხილული ამ ტიპის დანაშაულების სრულად აღმოფხვრა. სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების ძალისხმევა მხოლოდ კონტრაბანდის კონტროლირებულ ზღვრამდე შემცირებაზეა ორიენტირებული[4].

---

[3] როგავა ზ., საგადასახადო სამართალი,2017 წელი, გვ. 377

[4] Aurel Octavian PASAT, Comparative analysis in the field of customs offenses and criminal regulations in certain states in relation to the legislation of the Republic of Moldova,2017.

საბაჟო გადასახდელები ქვეყნის საგადასახადო სისტემის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, სავალდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით. გადასახდელების გადახდას საერთო კეთილდღეობისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან ის ბიუჯეტის შევსების უდიდესი წყაროა. ქვეყნის ბიუჯეტი კი ნაწილდება საერთო სახელმწიფოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად და მიმართულია სოციალური ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს საგადასახადო სისტემა 6 სახის გადასახადს იცნობს, მათგან ერთ-ერთია იმპორტის გადასახადი, რომელსაც იხდის პირი, რომელსაც საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოაქვს საქონელი. საქართველოს საბაჟო საზღვარი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო საზღვარს. იმპორტის გადასახადის გარდა, საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნივთის გადაადგილება დაკავშირებულია კიდევ 2 საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადთან, დღგ-სთან და აქციზთან. ეს სამივე გადასახადი ერთობლიობაში იწოდება იმპორტის გადასახდელებად. საქონლის გადაადგილება და გაფორმება დაკავშირებულია ასევე საბაჟო მოსაკრებლების გადახდასთან, რომლის ტარიფები დგინდება საქონლის ოდენობის შესაბამისად. საგადასახადო კოდექსით, მთავრობის დადგენილებებით, ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებებით რეგულირდება მათი გადახდის ვალდებულებების დადგომის, გადახდის, შესრულებისა და ადმინისტრირების სხვა წესები.

იმპორტის გადასახადიდან შემოსულ თანხების წილი, სხვა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებთან შედარებით, ძალიან ცოტაა. მაგ, 2019 წლის სტატისტიკით, რომ ვიხელმძღვანელოთ ბიუჯეტში ამ წელს გადასახადებიდან შემოვიდა 11,417,838.8 ათასი ლარი, საიდან იმპორტის გადასახადის ოდენობამ შეადგინა 79,073.8 ათასი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის გეგმით იმპორტის გადასახადებიდან ბიუჯეტს უნდა მიეღო 75,000.0 ათასი ლარი, რაც 4,073.8 ათასი ლარის გადაჭარბებით შესრულდა[5]. ზოგადადაც, თუ თვალს გადავავლებთ ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკას, იმპორტის გადასახადები ქვეყანაში მოსალოდნელი და მეტი ოდენობითაც კი შემოდის. მიუხედავად ამისა, ქართველი კანონმდებელი ფინანსური დანაშაულების თავში, მას მაინც პირველ ადგილს უთმობს და სისხლის სამართლის კოდექსის XXVIII თავი საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევისთვის გათვალისწინებული დანაშაულით იწყება. მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის

[5] 2019 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა, https://www.mof.ge/5303#

სისტემას აქვს არა მარტო გამოყენებითი, იურიდიულტექნიკური მნიშვნელობა, არამედ იგი ხაზს უსვამს კოდექსით დაცულ სოციალურ სიკეთეთა იერარქიას, ასევე კარების, თავებისა და მუხლების ურთიერთკავშირს.[6]

თუმცა, ეს შესაძლოა განპირობებულია იმით, რომ იმპორტის გადასახადს ფისკალური მიზნების გარდა გააჩნია პროტექციონისტული (დამცავი) ფუნქცია, ვინაიდან მისი მეშვეობით სახელმწიფო შიდა ბაზარზე იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს არასასურველი უცხოური კონკურენციისაგან[7]. აღნიშნულს რა თქმა უნდა უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისთვის, ვინაიდან სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფოს სიძლიერეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნა და მისი შემდგომი სრულყოფისთვის ხელშეწყობა[8].

კონტრაბანდას განსაკუთრებული საშიში ხასიათი გააჩნია. ბუნებაში არსებობს ისეთი საგნები, როგორიცაა შხამიანი და ასაფეთქებელი მოწყობილობები, რადიოაქტიური ნივთიერებები, რომელთა უკონტროლო გადატანა-გადმოტანა საბაჟო საზღვარზე ნებისმიერი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს უქმნის საფრთხეს. გარდა ფინანსური ინტერესების დაცვისა, სსკ-ის 214-ე მუხლი იცავს ისეთ სამართლებრივ სიკეთეებს, როგორიცაა სახელმწიფოსა უსაფრთხოება და მოსახლეობის მშვიდ, ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებები განაპირობებენ საბაჟო, კონტრაბანდული დანაშაულების უდიდეს მნიშვნელობას სახელმწიფოს ფინანსური და სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის სფეროში.

---

[6] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ. 32

[7] ზვიად როგავა, საგადასახადო სამართალი,2017 წელი, გვ. 377

[8] დვალიძე ი., მახარობლიძე გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე. თბილისი, საუნჯე, 2016, გვ. 3

თავი II. ქმედების შემადგენლობა

2.1 ქმედების ობიექტური შემადგენლობა

2.1.1 ქმედების სუბიექტი

სისხლის სამართლის კოდექსის 214 -ე მუხლი არ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს თუ ვის შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს საბაჟო წესების დარღვევით ნივთის გადატანა ან გადმოტანისთვის. ვინაიდან განსახილველი მუხლი ბლანკეტურია, პასუხისმგებელი პირების განსასაზღვრად აუცილებელია გამოვიყენოთ საბაჟო კანონმდებლობა.

საქართველოს საბაჟო კოდექსი პასუხისმგებელ პირთა ფართო წრეს იცნობს. ის განსხვავებულია ცალკეული საბაჟო პროცედურებისა და ეტაპების მიხედვით. პირის სამართლებრივი სტატუსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ საბაჟო პროცედურას ახორციელებს, იქნება ეს საქონლის წარდგენა, ზოგადი დეკლარირება, გაფორმება, გადაზიდვა თუ სხვა. საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, პირი არის როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. კერძოდ საწარმო ან ორგანიზაცია.

საბაჟო კოდექსი პირის ცნებაში მოიაზრებს აგრეთვე პირთა გაერთიანებას, რომელიც დამოუკიდებლად მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი.

საბაჟო კანონმდებლობით საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებამდე პირის სამართლებრივი სტატუსი და ასევე სუბიექტი შესაძლოა რამდენჯერმე შეიცვალოს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე წარდგენის ვალდებულება აქვს პირს, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა, მის წარმომადგენელს ან პირს, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა[9]. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ გადამზიდველი, როგორც იურიდიული ან ფიზიკური პირი და არა როგორც მძღოლი[10]. აღნიშნულ პირებს ევალებათ ასევე საქონლის ზოგადი დეკლარირება[11].

საქონლის გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს[12]. დეკლარანტი არის პირი, რომელიც საბაჟო ორგანოს თავისი სახელით წარუდგენს საბაჟო დეკლარაციას, დროებით შენახვის დეკლარაციას, საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციას, საქონლის გატანის ზოგად დეკლარაციას, რეექსპორტის დეკლარაციას ან რეექსპორტის შეტყობინებას, ან პირი, რომლის სახელითაც საბაჟო ორგანოს წარედგინება შესაბამისი დეკლარაცია ან შეტყობინება. ხოლო, საქონლის მფლობელი – საქონლის მესაკუთრე, საქონლის განკარგვის უფლების მქონე პირი ან პირი, რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშაც არის საქონელი[13].

---

[9] საქართველოს საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლი.

[10] ურიდია გ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა., საბაჟო კოდექსის კომენტარები. თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2007, გვ.101.

[11] „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №5) „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლი.

[12] „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) პირველი მუხლი.

[13] საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლი.

საბაჟო კანონმდებლობით პასუხისმგებლობა ეკისრება წარმომადგენელს, პირს, რომელიც სხვა პირის დავალებით საბაჟო ორგანოსთან ამ სხვა პირის ურთიერთობისას ახორციელებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქმედებებსა და საბაჟო ფორმალობებს. საბაჟო კოდექსის თანახმად, წარმომადგენელი არის ორი სახის, პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი წარმომადგენელი მოქმედებს სხვა პირის სახელით და ამავე პირის დავალებით, ხოლო ირიბი წარმომადგენელი მოქმედებს თავისი სახელით, მაგრამ სხვა პირის დავალებით[14]. ექსპორტიორს ან იმპორტიორს უფლება აქვს საბაჟო პროცედურების განხორციელების უფლებები და სათანადო შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობები (მაგ. ირიბი წარმომადგენლობის დროს, თუმცა რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია სოლიდარული პასუხისმგებლობაც) გადასცეს სხვა პირს ანუ წარმომადგენელს. წარმომადგენლის უფლებები უნდა დასტურდებოდეს ისეთი დოკუმენტებით, როგორიცაა ერთჯერადი მინდობილობა, გენერალური მინდობილობა, ხელშეკრულება საქონლის მესაკუთრეს/მფლობელსა და წარმომადგენელს შორის, სადაც აღნიშნული იქნება წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს და დაქირავებული პირის შემთხვევაში, ხელმძღვანელი პირის მიერ ბლანკზე ხელმოწერით დადასტურებული წერილი[15].

თბილისის, საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 16 აგვისტოს განაჩენით ნ.კ დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანა, დოკუმენტის მოტყუებითი გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „პ..ას“ დირექტორმა ნ.კ - მ, რომელიც მოქმედებდა შპს „ბ..ს“ დირექტორის ბ.ბ -ის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ინვოისის შეცვლითა და საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, 2018 წლის 7 მარტს საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოიტანა 31 500 ლარის საბაჟო ღირებულების 70 ცალი სკუტერი.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლომ მინდობილობის გამცემი პირი, შპს „ბ---ს“ დირექტორი ბ.ბ, მიიჩნია წამქეზებლად, რადგან აქტიური ზემოქმედება მოახდინა ნ--- კ-----ას ფსიქიკაზე, დაიყოლია იგი უკანონო ქმედების ჩასადენად. ბ.ბ-მ

[14] საბაჟო კოდექსის მე-14 მუხლი.

[15] ურიდია გ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა., საბაჟო კოდექსის კომენტარები.თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2007, გვ.38-39.

მის მიერ გაცემული მინდობილობისა და მითითების საფუძველზე, დაჟინებული მოთხოვნით, ინვოისის გაყალბებისა და საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, 2018 წლის 7 მარტს ნ--- კ-----ას საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოატანინა 31 500 ლარის საბაჟო ღირებულების 70 ცალი ელექტრო სკუტერი.

აღნიშნული ქეისი გამოგვადგება ასევე იურიდიული პირის სახელით განხორციელებული ქმედებისთვის პასუხისმგებელ პირთა დადგენისთვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107[2] მუხლის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214- ე მუხლი კი ასეთ დათქმას არ შეიცავს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ყალბი მონაცემების შემცველი საბაჟო დეკლარაცია იურიდიული პირის სახელზე იყოს რეგისტრირებული, მის მიმართ სს პასუხისმგებლობა არ გავრცელდება და ჩადენილი დანაშაულისთვის დაისჯება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე ის პირი, ვინც აქტიური და ბრალეული მოქმედებები განახორციელა.

მნიშვნელოვანია საფოსტო გზავნილების შემთხვევაში განისაზღვროს პასუხისმგებელი სუბიექტი. საფოსტო გზავნილით შემოტანილ ან გასატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციას/რეექსპორტის დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო ან საფოსტო გზავნილის გადამზიდავი, რომელიც ახორციელებს პირის (გზავნილის მიმღების/გამგზავნის) წარმომადგენლობას[16]. აქ შესაძლებელია გამგზავნის პასუხისმგებლობა დადგეს, ვინაიდან ის აწვდის გადამზიდავ კომპანიას ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ივსება დეკლარაცია. შესაძლებელია გამგზავნისა და მიმღების პასუხისმგებლობა დადგეს ჯგუფურად, თუ ისინი მოქმედებიან ერთიანი დანაშაულებრივი განზრახვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს განაჩენით ი. ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-5 ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით. ვინაიდან დადგინდა, რომ ი.ი-მ და მისმა თანამზრახველებმა გადამზიდავი კომპანიის შპს ,,საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით

[16] „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №8) ინსტრუქციის მე-5 მუხლი.

ე-ი-ს საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოუგზავნეს საფოსტო ამანათი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 2019 წლის 1 მარტს და რომელშიც დეკლარირებული საქონლის ნაცვლად, მალულად მოთავსებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილების 16 კომპლექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა უფრო ფართოდ აწესებს სს პასუხისმგებლობას კონტრაბანდისთვის. ამერიკის ფედერალური კანონით აგრეთვე აქტიური სუბიექტია და ისჯება ის პირიც, ვინც იღებს, მალავს, ყიდულობს, ყიდის, ან რაიმე ფორმით უწყობს ხელს კონტრაბანდული საქონლის ტრანსპორტირებას, დამალვას ან რეალიზაციას და იცის რომ ეს საქონელი იმპორტირებული ან შემოტანილი იქნა შეერთებულ შტატებში კანონის საწინააღმდეგოდ[17].

საინტერესოა, რომ ჩვენი კანონმდებლობით არც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ზემოთ ჩამოთვლილ სუბიექტებზე, თუმცა საბაჟო კოდექსი ვალდებული პირების ფართო წრეს იცნობს. საბაჟო ვალდებულება არის პირის ვალდებულება გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი იმპორტის გადასახადი[18]. კანონმდებლობით განსაზღვრული მართლზომიერი ქმედების გარდა, იმპორტის გადასახადით დასაბეგრ საქონელზე საბაჟო ვალდებულება ასევე წარმოიშობა, თუ დაირღვა უცხოური საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან, საბაჟო ზედამხედველობიდან გატანასთან და სხვა საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა. საბაჟო პროცედურის მფლობელის გარდა საბაჟო ვალდებულების შესრულება მოეთხოვება ნებისმიერი პირს, რომელმაც შეიძინა საქონელი ან რომელიც ფლობს საქონელს და რომელმაც მისი შეძენის ან მიღების მომენტში იცოდა ან რომელსაც უნდა სცოდნოდა, რომ ამ საქონელთან დაკავშირებული საბაჟო ვალდებულება შესრულებული არ არის[19].

უმჯობესი იქნება ჩვენი კანონმდებლობითაც დაწესდეს ზემოაღნიშნულ პირებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ვინაიდან მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონტრაბანდული საქონლის ბრუნვის შემცირებას.

---

[17] 18 U.S. Code § 545 - Smuggling goods into the United States

[18] საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლი-ტერმინთა განმარტება

[19] საბაჟო კოდექსის მუხლი 49.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის 214-ე მუხლით გათვალისიწინებული დანაშაულის ამსრულებელია 14 წლის ასაკს მიღწეული დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი ნებისმიერი პირი, რომლის ძირითადი სამართლებრივი სტატუსი ამ საბაჟო სამართლებრივ ურთიერთობებში შესაძლოა იყოს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელი პირი, დეკლარანტი ან/და საქონლის მფლობელი.

2.1.2. დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი

214- ე მუხლის სს-დაცვს უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ეკონომიკური, უფრო კონკრეტულად ფინანსური ინტერესები.[20] ვინაიდან მუხლი განთავსებულია საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი დანაშაულების თავში, წინა პლანზე აყენებს საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის ვალდებულების შესრულების დაცვას.

იმპორტის გადასახადის დაწესება ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური სივრცის სტაბილურობისა და ვაჭრობის სფეროში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შენარჩუნებისთვის. წინამდებარე მუხლი იცავს საქართველოს ეკონომიკურ სივრცეს არაკეთილსინდისიერი და უკანონო საერთაშორისო ვაჭრობისაგან და პირიქით, საბაჟო კონტროლის ეფექტური განხორციელებით უზრუნველყოფს სამართლიან და თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობას[21].

სსკ-ის 214-ე მუხლი ასევე იცავს საქართველოს კულტურულ ინტერესებს. მესამე ნაწილის თანახმად, ოთხიდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება საქართველოს საბაჟო საზღვარზე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის, ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ერთ-ერთ განმტკიცებულ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ზრუნვა ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობაზე.[22] საქართველოს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, დროებითი გატანის, საქართველოში შემოტანის და დროებითი შემოტანის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „კულტურულ

---

[20] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ. 560

[21] საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლი

[22] საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი.

ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ და ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული წესების შესაბამისად.

საბაჟო ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფოს და ადამიანთა უსაფრთხოებას[23]. საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი დასჯადად აცხადებს რადიოაქტიური და ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის და ასევე, იმ მასალის ან მოწყობილობის შემოტანას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. ისჯება აღნიშნული საგნების ქვეყნიდან გატანაც, რაც მიუთითებს, რომ ხდება არა მარტო საშინაო ინტერესების დაცვა, არამედ რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნებაც.

განსახილველი მუხლით კანონმდებელი იცავს საზოგადოების ჯანმრთელობას და ახორციელებს გარემოს დაცვას. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო და სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს. ფიტოსანიტარიული კონტროლი მიმართულია მცენარეთა და მცენარეული პროდუქტების მავნე ორგანიზმების ქვეყანაში შემოჭრისა და გავრცელების წინააღ-მდეგ[24] და ვრცელდება ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო- საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანასა და გატანაზე, ასევე, შესაძლებელია გავრცელდეს დასაწყობების ადგილებზე, ტარაზე, სატრანსპორტო საშუალებებზე, კონტეინერებსა და რაიმე სხვა ისეთ ორგანიზმებზე, ობიექტზე ან მასალაზე, რომლებშიც შესაძლებელია არსებობდეს მავნე ორგანიზმები, ან რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდნენ მათ სამალავებს.[25] ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, დასჯადია საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი ნივთიერებების კონტრაბანდა.

პირდაპირ არ არის სახელდებული, მაგრამ აღნიშნული მუხლით სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაცვაც ხორციელდება. ერთ-ერთ უმთავრეს სისხლისსამართლებრივ დაცვის ობიექტად შესაძლებელია განვიხილოთ პოტენციურ მომხმარებელთა ინტერესები. მაგალითად, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც

[23] საქართველოს საბაჟო საბაჟო კოდექსის მე-5 მუხლი

[24] ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N429 დადგენილება

[25] https://old.rs.ge/4995

პირი საბაჟო საზღვარზე ცდილობდეს ჩინური წარმოშობის საქონლის ქვეყანაში შემოტანას განბაჟებისთვის საჭირო ყველა პროცედურის დაცვით და მის მიზანს არ წარმოადგენდეს საბაჟო გადასახდელებისგან თავის არიდება, მას უბრალოდ სურდეს საქონლის მარტივად რეალიზაცია და ამ მიზნით საქონლის შეფუთვაზე წარმოშობის ქვეყნის შესახებ ყალბი ინფორმაცია დაიტანოს.

როგორც ვხედავთ, სსკ -ის 214-ე მუხლს სისხლის სამართლებრივი დაცვის მრავალი ობიექტი გააჩნია და იცავს არაერთ მნიშნელოვან სამართლებრივი სიკეთეს. კერძოდ, სახელმწიფოს ეკონომიკურ და ფინანსურ ინტერესებს, ადამიანთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, ქვეყნის კულტურულ და ეკოლოგიურ ინტერესებს, საშინაო და საგარეო ვაჭრობას, მომხმარებელთა უფლებებსა და ინტერესებს და სხვა.

2.1.3. დანაშაულის საგანი

განსახილველი ქმედებისთვის სს პასუხისმგებლობა დგება, როგორც თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფ, ისე ბრუნვიდან ამოღებულ საგნებზე. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფ საგნებზე ვრცელდება ამ მუხლის პირველი-მესამე ნაწილები, ხოლო მეოთხე ნაწილით პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს საბაჟო საზღვარზე ისეთი მოძრავი ნივთების გადაადგილებისთვის, რომლებიც თავისი არსით საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობისთვის და მათ გამოყენებაზე, ფლობაზე და განკარგვაზე სპეციალური ნებართვებია საჭირო. ვინაიდან განსახილველი ნორმა არის ბლანკეტური ხასიათის, აუცილებელია თითოეული დასახელების საგანი განმარტებულ იქნას შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

2.1.3.1 თავისუფალ მიმოქცევაში სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი მოძრავი ნივთები.

2.1.3.1.1. თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი მოძრავი ნივთების დიდი ოდენობით

სსკ-ის 214 -ე მუხლის პირველი და მეორე გათვალისწინებული დანაშაულის საგანია თავისუფალ სამოქალაქო ბრუნვაში მყოფი საგნები, რომელთა გადატანა ან გადმოტანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე დასჯადია, თუ ეს დიდი ოდენობით მოძრავს ნივთებს ეხება და კანონში მითითებული არალეგალური ხერხით

ხდება[26].კანონმდებელმა დაადგინა, რომ დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს თხუთმეტი ათას ლარს[27]. ხოლო, სამალავით ან საქართველოს საბაჟო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გზით საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანილი ნივთისათვის დიდ ოდენობად ითვლება ნივთი, რომლის საბაჟო ღირებულების თანხა აჭარბებს ხუთი ათას ლარს.[28]

არც ისე იშვიათია მოქალაქეთა მხრიდან საზღვარზე არადეკლარირებული ნივთების გადატანა/გადმოტანის ფაქტი. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2018-2020 წლების ანგარიშების მიხედვით შესაძლოა ვთქვათ, რომ საქართველოში ძალიან აქტუალურია დიდი რაოდენობის ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობების, ასევე მედიკამენტების კონტრაბანდა.

საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული დარღვევები ხარისხისა და სიმძიმის მიხედვით იყოფა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და სისხლის სამართლის დანაშაულად. საბაჟო პროცედურის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს ასევე საბაჟო კოდექსი და რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. საინტერესოა, რომ საბაჟო პროცედურის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას როგორც საბაჟო, ისე სისხლის სამართლის კოდექსი ერთი და იმავე ქმედებისთვის აწესებს, მაგ. სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად, საქართველოს საბაჟო კოდექსიც აწესებს სანქციას საქონლის უკანონო გადატანა ან გადმოტანისთვის, იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირებისთვის და სხვა. ამავდროულად, საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს არ ეკისრება, თუ საბაჟო სამართალდარღვევის შემადგენელი ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას[29].

კანონმდებელი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალს შორის ზღვარს უკავშირებს ნივთის ღირებულების ოდენობას, კერძოდ მის საბაჟო ღირებულებას. სს პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია საბაჟო კონტროლს არიდებული ნივთების საბაჟო ღირებულება შეადგენდეს მინიმუმ 15 ათას ლარს, ხოლო სამალავით, ან გვერდის ავლით გადაადგილებული ნივთების ღირებულება კი - 5 ათას ლარს.

საბაჟო ღირებულება უპირველს ყოვლისა არის ის ოდენობა, რომლითაც დეკლარანტმა შეიძინა საქონელი (გარიგების ფასი), რომელსაც ემატება ამ საქონლის

[26] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივნისის განაჩენი.
[27] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნა, პირველი
[28] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნა მეორე.
[29] საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ადგილამდე გაწეული ტრანსპორტირების, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და დამუშავების (მათ შორის, საწყობში შენახვის) და სხვა ხარჯები, ასევე სადაზღვევო ხარჯიც, თუ ეს დეკლარანტის მიერაა გაწეული[30]. ყველა ხარჯის გათვალისწინებით საქონლის საბაჟო ღირებულებას განსაზღვრავს დეკლარანტი[31].

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საბაჟო კონტროლი ნებისმიერი ფორმით. მათ შორის შეამოწმოს დეკლარაცია, დოკუმენტი, მონაცემი და მისთვის ნებისმიერი სახით წარდგენილი სხვა ინფორმაცია[32]. შესაბამისად, ის დეკლარანტის მიერ განსაზღვრული საქონლის საბაჟო ღირებულების სისწორესაც აკონტროლებს.[33] საბაჟო ორგანო, როდესაც ეჭვი შეაქვს დეკლარანტის მიერ გაცხადებულ საქონლის ღირებულებაში ან ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას აღმოაჩენს არადეკლარირებულ საქონელს, ატარებს ექსპერტიზას და განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას კანონით დადგენილი საბაჟო ღირებულებიდან ერთ-ერთი მეთოდის გამოყენებით[34].

აღნიშნულთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ხშირად წარმოიქმნება პრობლემები, ვინაიდან საქმის მიმდინარეობის ეტაპზე შეიძლება მოხდეს ნივთის ღირებულების ხელახალი გამოკვლევა და დადგინდეს, რომ ნივთის საბაჟო ღირებულება არ ცდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფარგლებს. ეს შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევებში, როდესაც მხარემ დამოუკიდებელი სასაქონლო ექსპერტიზა ჩაატარა, ძალიან გვიან წარმოადგინა ნასყიდობის დოკუმენტი (ინვოისი), თვითონ საბაჟო ორგანომ მოახდინა თავიდან ნივთის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში და სხვა. ამ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობა აღარ გვექნება სახეზე და გამოძიება ან სს დევნა უნდა შეწყდეს.

ზოგადად, ასეთი შემთხვევები არც ისე უცხოა ფინანსური დანაშაულებისთვის. მსგავსი შემთხვევები ხდება სისხლის სამართლის კოდექსის 218 - ე მუხლთან მიმართებითაც, რომელიც გულისხმობს გადასახადებისგან თავის არიდებას. აღნიშულ ქმედებასთან მიმართებით, სს პასუხისმგებლობა დგინდება, როდესაც გადასახდელი

[30] იგივე. 44-ე მუხლის მე-4 ნაწილი
[31] იგივე. 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი
[32] იგივე. 27-ე მუხლი
[33] იგივე. 37-ე მუხლის მეორე ნაწილი
[34] იგივე. მე-6 თავი. საბაჟო ღირებულების ცნება

გადასახადის თანხა აღემატება ასი ათას ლარს[35] და აქაც, მსგავსად ჩვენი განსახილველი დანაშაულისა, ხშირად სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, აუდიტის დეპარტამენტის მიერ საქმის განმეორებით შესწავლისა და დარიცხული თანხების გადაანგარიშების შედეგად, სს ქმედების შემადგენლობა გამოირიცხება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე და 218-ე მუხლები ფინანსური დანაშაულების თავში არიან განთავსებული და ორივე მიმართულია იმისკენ, რომ საქართველოს ფინანსური, ასევე ეკონომიკური ინტერესები დაიცვან და ბიუჯეტში გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა უზრუნველყონ. ამის მიუხედავად საბაჟო კოდექსის 214 -ე მუხლის პირველი ნაწილით პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ზღვარი 15 ათასი და 5 ათასი ლარია, ხოლო გადასახადისათვის განზრახ თავის არიდებისთვის კანონმდებელმა 100 000 ლარიანი ზღვარი დაადგინა. თანაც, სსკ-ის 214 - მუხლის პირველი ნაწილისთვის ზღვარი ნივთის საბაჟო ღირებულებაზე გადის, რომლისთვისაც იმპორტის გადასახადის სახით მხოლოდ ამ ნივთის საბაჟო ღირებულების 5 ან 12 პროცენტი აქვს გადასახდელი, 218-ე მუხლის შემთხვევაში კი - უშუალოდ გადაუხდელი და დარიცხული გადასახადის თანხა შეადგენს 100 000 ლარს.

მართალია, ქმედებები განსხვავებულია, მაგრამ ორივე შემთხვევაში სახელმწიფო ვერ იღებს კუთვნილ თანხას და მხოლოდ ის ფაქტი, რომ ერთი დანაშაული ჩადენილია საქართველოს საბაჟო საზღვარზე, პასუხისმგებლობის დაკისრების კუთხით დიდ განსხვავებას არ უნდა იძლეოდეს. უპირობოა, რომ სსკ-ის 214 -ე მუხლით უფრო მეტი სამართლებრივი სიკეთის დაცვა ხორციელდება და სხვა დატვირთვაც გააჩნია, რაც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ, მხოლოდ სსკ-ის 214 -ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილს, რომელზეც არ ვრცელდება არც კულტურული მემკვიდრეობისა და არც საზოგადოების უსაფრთხოებისა და უშიშროების დაცვის სფეროები. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, ვთქვათ, მცირე მეწარმე სუბიექტმა იმპორტის გადასახდელებისგან თავის არიდების მიზნით 16 000 ლარის საბაჟო ღირებულების ისეთი საქონელი გადმოიტანა უკანონოდ კონტროლის გვერდის ავლით, რაზედაც ეკუთვნოდა იმპორტის გადასახადის 12 პროცენტისა და დღგ-ს (18%) გადახდა. აღნიშნულ შემთხვევაში მეწარმე სუბიექტს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრებოდა იმპორტის გადასახდელები 4800 ლარის ოდენობით (იმპორტი -1920 ლარი, ხოლო დღგ -2880 ლარი), რომლის გადახდის ვალდებულებისთვის თავის არიდების

[35] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლი

შემთხვევაში იგი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით - ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით სამიდან ხუთ წლამდე ვადით. მაშინ, როცა ბევრად უფრო შეძლებულმა მეწარმე სუბიექტმა თუ გადასახადის გადახდას თავი განზრახ აარიდა და დეკლარაციაში, თუნდაც 95 000 ლარით, შეიმცირა გადასახადის თანხა, სახელმწიფო მის მიმართ მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (ჯარიმა) გამოყენებით შემოიფარგლება.

შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის განსაზღვრული ზღვარი უნდა შემცირდეს და მეტად გაიზარდოს საბაჟო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფარგლები. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სს პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, არ იწვევს ნასამართლობას, არ არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სასჯელების (თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები და სხვა) გამოყენებასთან[36].

ზღვარის გაზრდასთან დაკავშირებით ჩვენი აზრის მართებულობას ადასტურებს ასევე შემდეგი გარემოება. სს პასუხისმგებლობა 15 ათასი ლარიდან დაწესდა 2006 წელს. მანამდე სს პასუხისმგებლობა დგებოდა 3000 ლარიდან და განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლებოდა საქონლის ღირებულება 15 000 ლარს ზემოთ. მის მერე 15 წელი გავიდა და მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობა, მითუმეტეს კი ჩვენი ქვეყნის ძალიან შეიცვალა. შეიცვალა ფულის ღირებულება დროში, ვალუტის კურსი და პროდუქტზე/მომსახურებაზე გაზრდილი ფასების შედეგად, დღესდღეობით 15 000 ლარი არ წარმოადგენს იმ თანხას, რომ დიდ ოდენობად იწოდებოდეს. შესაძლოა 2006 წელსაც სწორედ აღნიშნული ეკონომიკური ცვლილებები იყო განმაპირობებელი ამ ზღვრის 3000 ლარიდან 15 000 ლარამდე აწევამდე. ამ ნაკლოვანებას, ასევე ააშკარავებს უცხოური შემოტანილი საქონლის ღირებულება, როცა ნივთში გადახდილი ევრო ან დოლარი ქართულ ფულზე 3-4 ჯერ მცირეა. ეს კი უცხოელისთვის ზედმეტად მძიმეა.

ზემოაღნიშნული მაგალითებით გამოიკვეთა აგრეთვე ის ნაკლოვანება, რაც ახლავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნივთის საბაჟო ღირებულების ოდენობაზე დამოკიდებულებას. საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წესდება გადასახადის თანხის ოდენობის მიხედვით. მაგალითად, ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსით, პირს ეკისრება

[36] ხარაზი-ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2002, გვ. 339.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კონტრაბანდისთვის, თუ წარმოიშვა საბაჟო დავალიანება 10,000 ევროს ან მეტი თანხის ოდენობით[37]. ამასთან, 2000 წლის 05 მაისიდან 2003 წლის 26 აგვისტომდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციით, ამ მუხლით დიდ ოდენობად ითვლებოდა ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებდა რვაას ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლებოდა ნივთი, რომელზედაც საბაჟო გადასახდელის გადაუხდელი თანხა აჭარბებდა ხუთი ათას ლარს. დღეს მოქმედი რედაქცია პირის საზიანოდ არის გადაწყვეტილი, რადგან იმ ნივთების არალეგალურ შემოტანაზე, რომლებზეც იმპორტის გადასახადი 0%-ის ტოლია, ძველი რედაქციის შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრებოდა, რადგან დიდ ოდენობად ითვლებოდა 800 ლარზე მეტი საბაჟო გადასახდელი. დღეს მოქმედი რედაქციის მიხედვით კი საბაჟო გადასახდელს მნიშვნელობა არ აქვს და პირს მაინც დაეკისრება პასუხისმგებლობა, როდესაც შემოიტანს 15 000 ლარის საბაჟო ღირებულების ნივთს მაშინ, როდესაც ამ ნივთის შემოტანით სახელმწიფო ბიუჯეტს ზიანი არ ადგება[38].

2.1.3.1.2. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ან სხვა კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.[39] ქართველი კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კულტურული ღირებულების მქონე ნივთების საბაჟო საზღვარზე გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტს. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხული სხვა კულტურული მემკვიდრეობის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანის ფაქტზე გამკაცრებულია პასუხისმგებლობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ„ საქართველოს კანონის თანახმად, მატერიალური კულტური მემკვიდრეობა არის ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური,

---

[37] penal code Estonia. A.391

[38] ფანჩულიძე ლ., სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესის დარღვევისთვის, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2019 გვ.23.

[39] "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის კანონის მე-3 მუხლი.

ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.[40]

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი არის ორი სახის, უძრავი და მოძრავი[41]. ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველია მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტიკურობასთან[42]. ნივთისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭების საკითხს განიხილავს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით[43] და მისი შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, ობიექტს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ანიჭებს მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით [44].

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით შექმნილია ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, სადაც მოცემულია კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია, მათი სააღრიცხვო ბარათისა და ძეგლის პასპორტის ნომრის თანხლებით[45].

დღესდღეობით ამ სიაში შეტანილია 4221 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი[46]. რა თქმა უნდა, ეს სია არ არის ამომწურავი და მას შეიძლება დაემატოს ისეთი ნივთები, რომლებსაც შემდგომ მიენიჭება კულტურული ძეგლის სტატუსი.

საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობებს საქართველოდან მათი უკანონო გატანისაგან იცავს „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონი. რომელიც ადგენს საქართველოს

---

[40] იგივე.
[41] იგივე
[42] იგივე. მე-15 მუხლი.
[43] იგივე. მუხლი 5
[44] იგივე. მუხლი 15.
[45] იგივე. მე-16 მუხლი.
[46] https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b2b7878e604f.pdf

კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ერთიან წესს

საქართველოს საზღვარზე საქონლის გატანა შეიძლება განხორციელდეს როგორც უკან შემოტანის ვალდებულების გარეშე, ასევე დროებით - დადგენილ ვადებში მისი უკან შემოტანის ვალდებულებით[47]. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებებს კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანის, ან დროებით გატანის შესახებ და გასცემს მისი საქართველოდან გატანაზე ან დროებით გატანაზე ნებართვას[48].

ანალოგიურია საქონლის შემოტანის შემთხვევაშიც. საქართველოს საბაჟო კოდექსით დადგენილი წესით საზღვარგარეთიდან საქართველოში შემოტანილმა კულტურულმა ფასეულობამ უნდა გაიაროს აუცილებელი საბაჟო კონტროლი და სპეციალური რეგისტრაცია[49].

შესაბამისად, უკანონოდ ითვლება კულტურული ფასეულობის საქართველოდან გატანა, საქართველოში შემოტანა და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა, თუ დარღვეულია ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები[50].

ყველა კულტურული მემკვიდრეობის ნივთს, კულტურის სფეროში აღიარების მიუხედავად, ერთი და იგივე ღირებულება და კულტურული მნიშვნელობა ვერ ექნება. თავისუფლადაა შესაძლებელი კულტურული სტატუსისა და სიძველის მიუხედავად ნივთის ღირებულება ძალიან მცირე იყოს. კანონში წერია, რომ შემოტანისა და გატანის რეგულაციები ვრცელდება მიმოქცევიდან ამოღებულ საფოსტო მარკაზეც[51]. შესაბამისად, მიზერული საბაზრო ღირებულების მიუხედავად, მისი კანონდარღვევით გადაადგილება საბაჟო საზღვარზე გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას - 4 დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია დაწესდეს ისეთივე ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შორის, როგორც ეს 214-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისთვის არის დაწესებული[52].

---

[47] იგივე .მუხლი 3
[48] იგივე. მუხლი 12
[49] იგივე. მუხლი 19
[50] იგივე. მუხლი 7
[51] იგივე. იგივე.
[52] იგივე. გვ. 94

ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის ზღვრის არსებობა მოითხოვს შესაბამისი სამართალდარღვევის დაწესებას ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, რაც დღეს პრაქტიკულად არ არსებობს.

2.1.3.1.3 ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობა ან ნაკეთობის ჯართი

განსახილველი მუხლის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესის დარღვევით გადატანის ან გადმოტანისთვის. დღესდღეობით აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი უფუნქციოდაა დარჩენილი. ვინაიდან ის ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებდა ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის წესს გაუქმებულია და 2005 წლის პირველი იანვრიდან აღარ არსებობს. სსკ-ის 214-ე მუხლში კი ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობის ან ნაკეთობის ჯართის საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესს არეგულირებდა „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, ძვირფასი ლითონები განისაზღვრებოდა, როგორც ნებისმიერი სახის ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პალადიუმი ნებისმიერ მდგომარეობაში (ნედლეული, შენადნობები, ნახევარ-ფაბრიკატები, ლაბორატორიული ჭურჭელი და ინსტრუმენტები, ქიმიური ნაერთები, ჯართი და ნარჩენები)[53]. ხოლო, ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებულ ნაწარმად (შემდგომ – ნაწარმი) ითვლებოდა ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების გამოყენებით დამზადებული მედლები, ორდენები, საიუველირო, საყოფაცხოვრებო და სხვა ოქრომჭედლური ნაწარმი, აგრეთვე ძვირფასი და არაძვირფასი ლითონების შენადნობებთან სინთეზური, საიუველირო და სანახელაო ქვების, მარგალიტების, მინანქრის, მარჯნის, შუშის და სხვა არალითონური მასალების კომბინირებით დამზადებული ნაკეთობანი. სამწუხაროდ, საიუველირო ნაწარმის მნიშვნელობა არ იყო განმარტებული და არც დღეს არსებობს.

კანონმდებლობით დადგენილი იყო გასაყიდად შემოტანილი უცხოური საქონლის სასინჯი კონტროლი[54], რაც გულისხმობდა ძვირფასი ლითონებისა და

---

[53] „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლი.

[54] „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ“ საქართველოს კანონის, მუხლი 7

ძვირფასი ქვების შემცველი სხვა ნაკეთობების, ნივთების, ქიმიური ნაერთების და ა.შ. ექსპერტიზისა და ანალიზის ჩატარებას, შეფასებას, აგრეთვე ხარისხისა და სხვა მახასიათებლების დადგენას[55].

უცხოურ ნაწარმს სასინჯ კონტროლზე წარადგენდა მეწარმე სუბიექტი. ხოლო, ფიზიკური პირი სასინჯ კონტროლზე თავისი სურვილით წარადგენდა მხოლოდ იმ ნაწარმს, რომელიც დამზადებული იყო ამ კანონის მიღებამდე ან დადამღული იყო სსრკ-ის დროინდელი ან „ზოლოტნიკის" სისტემის დამღით და სურდა მასზე საქართველოს სახელმწიფო დამღის დასმა[56].

სავალდებულო სასინჯ კონტროლს დაქვემდებარებული ნაწარმისა და სხვა მასალების ექსპორტისას და იმპორტისას საბაჟო ორგანოები ახდენენ მათ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას (საბაჟო გაფორმებას) ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის დასკვნის (დადამღვის ან წერილობითი ცნობის) საფუძველზე[57]. სავალდებულო სასინჯ კონტროლს არ ექვემდებარებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ნაწარმი[58].

როგორც უკვე ვახსენეთ, ზემოაღნიშნული კანონის გაუქმების მიუხედავად სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებები არ შესულა. სამართლებრივი საფუძვლის გაუქმების შემდეგ, პრაქტიკამ თავისებურად დაიწყო საკითხის რეგულირება და საიუველირო ნაკეთობებისა და ძვირფასი ქვების კანონით აკრძალული ქმედებებით გადატანა-გადმოტანა კვალიფიცირდება სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით, ნივთის საბაჟო ღირებულების გათვალისწინებით.

2.1.3.1.4. ნაღდი ფული და ფასიანი ქაღალდი

დღესდღეობით მსოფლიოში ხშირია ფულის უკანონოდ მოძრაობის შემთხვევები, რასაც მთელი განვითარებული სამყარო აგრესიულად ებრძვის. კონტრაბანდის სახით შემოტანილი ნაღდი ფული ხშირად, უკანონო საქმიანობიდან მიღებულ თანხებს წარმოადგენს და გამოიყენება უკანონო ორგანიზაციის დასაფინანსებლად[59]. კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებიც ეწევიან ტრეფიკინგს,

---

[55] იგივე. მუხლი 16
[56] იგივე. მუხლი 9
[57] იგივე. მუხლი 17
[58] იგივე. მუხლი 8
[59] Bulk Cash Smuggling | Miami Criminal Defense Attorney (paulpetruzzi.com)

ძალადობრივ დანაშაულს ადამიანებისა და ქონების წინააღმდეგ, აფინანსებენ ტერორიზმსა და ექსტრემისტულ ჯგუფებს, ნაღდი ფულის გადაზიდვას ახორციელებენ, რათა თავიანთი შემოსავალი და მასთან დაკავშირებული საქმიანობა ფინანსური მარეგულირებლისა და სამართალდამცავი ორგანოების კონტროლს აარიდონ[60].

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიზნად ისახავს საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნას. შემოსავლების სამსახური ვალდებულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ანგარიშგება 30 000 ლარზე ან უცხოურ ვალუტაში 30 000 ლარის ეკვივალენტზე მეტი ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების შესახებ. უნდა წარედგინოს აგრეთვე ანგარიშგება საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გადაადგილების თაობაზე[61]. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ნაღდი ფულის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოში შემოტანა და მისი გატანა გათავისუფლებულია საბაჟო გადასახდელებისგან, საქართველოს საბაჟო საზღვარზე ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში[62]. აუცილებელია პირმა წარმოადგინოს მისი წარმომავლობისა და მიზნობრიობის დამადასტურებელი დოკუმენტიც[63].

ამ ვალდებულების შეუსრულებლობისა და საბაჟო წესების დარღვევის შემთხვევაში პირს ეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და სანქციის სახით შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ჯარიმა, ასევე ამ საქონლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა[64]. უკანონოდ გადაადგილებული თანხის ოდენობის მიუხედავად ქართული კანონმდებელი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ქმედებაზე სისხლის სამართლებრივ

[60] FAQ: Bulk Cash Smuggling | ICE)

[61] „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 25-ე.

[62] ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №8, მუხლი 2

[63] იგივე . მუხლი 6

[64] საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლი.

პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციული ჯარიმაც არც თუ ისე მკაცრია. ის დამოკიდებულია შემოტანილი ნაღდის ფულის ან ფასიანი ქაღალდის ოდენობაზე.

ნაღდი ფულის კონტრაბანდასთან დაკავშირებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობას, განსხვავებული მიდგომა აქვს. მაგ. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობით ფედერალურ დანაშაულადაა გამოცხადებული და პირი, რომელიც შეგნებულად მალავს 10,000 აშშ დოლარზე მეტი ოდენობის ვალუტას ან სხვა ფულადი ინსტრუმენტს, ჩადის ვალუტის კონტრაბანდის დანაშაულს და ისჯება კანონის შესაბამისად[65].

თანამედროვე ციფრულ სამყაროში საბანკო გადარიცხვებით მარტივად ხდება ე.წ „შავ ფულისა“ და დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციების გამოვლენა და კონტროლი, რის გამოც მათთვის უფრო ხელსაყრელია ფულის გადატანა მატერიალური სახით. ამასთან, საბაჟო ორგანო კონტროლს მხოლოდ რისკის მართვის საფუძველზე ახორციელებს, რომელიც შემთხვევითობის პრინციპზეა დაფუძნებული და დიდია შანსი პირმა შემოწმების გარეშე დატოვოს საბაჟო ზონა.

შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, 2019 წლის პირველი სექტემბრიდან 2021 წლის 20 ივნისამდე პერიოდში ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის უკანონო გადატანა და გადმოტანის 251 შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად ან არასწორი დეკლარირებით შემოტანილი/გატანილი თანხების ჯამურმა ოდენობამ 18,714,123.47 ლარის ექვივალენტი შეადგინა[66].

შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის უკანონო გადატანა და გადმოტანისთვის.

2.1.3.2 თავისუფალი ბრუნვიდან ამოღებული ნივთები

პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი, მომწამლავი, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერების, შეიარაღების, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ცეცხლსასროლი იარაღის, იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნედლეულის წესის

[65] 31 U.S. Code § 5332

[66] შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2021 წლის 29 ივნისის №21-10/82247 წერილი.

დარღვევით გადატანა ან გადმოტანა. ეჭვგარეშეა, რომ ისეთი ისეთი საგნების ჩამონათვალს აკეთებს, რომელთაც არათუ დადგენილი წესების გარეშე გამოყენების შემთხვევაში შეუძლიათ უდიდესი საფრთხისა და გამოუსწორებელი ზიანის გამოწვევა, არამედ დადგენილი წესების დაცვით მოპყრობა/გამოყენების დროსაც დიდი რისკის მატარებლები არიან. მათი გამოყენების, ფლობისა და გადაადგილების წესები სპეციალურია და სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებითაა მოწესრიგებული.

2.1.3.2.1 შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებები

სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ გვაქვს განმარტება, თუ რას ნიშნავს შხამიანი ან მომწამლავი ნივთიერება, ან რომელი ნივთიერებები შეიძლება მივიჩნიოთ ისეთად, რომელიც ამ მუხლის მოქმედების ქვეშ მოექცევა. საქართველოში არსებობდა „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც საშიშ ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებდა. დღესდღეობით ეს კანონი გაუქმებულია და ძალაშია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსი, თუმცა არც ეს ნორმატიული აქტი ადგენს ზემოაღნიშნული ნივთიერებების დეფინიციას. ვინაიდან, სსკ-ის ჩანაწერი შხამიან და მომწამლავ ნივთიერებზე თავდაპირველი რედაქციიდანვე მომდინარეობს, უმჯობესია მათზე გარკვეული წარმოდგენების შესაქმნელად „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი შესაძლებლობის მიხედვით გამოვიყენოთ.

საშიში ქიმიური ნივთიერებებში, როგორც განზოგადებულ ცნებაში, მოიზარება ნებისმიერ საშიში ქიმიური ნივთიერება, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს ადამიანისთვის, ეს შეიძლება იყოს როგორც პირადი მოხმარებისათვის განკუთვნილ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიურ ნივთიერებები, ისე კოსმეტიკურ პროდუქცია, რადიაქტიური ნივთიერებები და მასალები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნივთიერებები და სხვა. თუმცა „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონი გამორიცხავდა მათზე თავის იურისდიქციას, რამეთუ ჩამოთვლილ საგნებთან დაკავშირებული რეგულაციები ცალკე, შესაბამისი კანონმდებლობებით დგინდება.

საკანონმდებლო ანალიზის საფუძველზე ქიმიური ნივთიერებები შესაძლებელია დავყოთ 2 ჯგუფად, საშიშ ქიმიურ ნივთიერებებად, რომელთა გამოყენება საერთოდ აკრძალულია ან მკაცრად არის შეზღუდული და ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საქმიანობაში გამოიყენება, მაგრამ გარკვეული წესებითა და რეგულაციების დაცვით.

საშიშ ქიმიურ ნივთიერებასთან დაკავშირებული საქმიანობა მკაცრ კონტროლთანაა დაკავშირებული. საშიში ქიმიური ნივთიერებებია ნივთიერებები და პრეპარატები, რომლებიც მავნე ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. საშიში ქიმიური ნივთიერების პროფილი მრავალმხრივი და ამავდროულად ძალზე ფართოა. ასეთ ნივთიერებად მოიაზრებენ ფეთქებად, დამჟანგავ, აალებად, ტოქსიკურს, გამაღიზიანებელს და სხვა სახის საშიში ნივთიერებებს. შხამიანი და მომწამლავი, ანუ ისეთი ტიპის ნივთიერებები, რომელთა ადამიანის ორგანიზმში მოხვედრას შეუძლია სიკვდილი ან მძიმე ქრონიკული დაავადებები გამოიწვიოს არის ტოქსიკური, გამაღიზიანებელი, კანცეროგენული*, მუტაგენური, ალერგიული, ტერატოგენური*, გონადოტროპული* და ემბრიოტროპული* ნივთიერებები და პრეპარატები[67].

სარეალიზაციოდ გამიზნული საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ შეტყობინების, მათი გამოცდისა და სახელმწიფო ექსპერტიზის, სტანდარტიზაციის, აღრიცხვისა და რეგისტრაციის, შეფუთვის, ნიშანდების, იმპორტისა და ექსპორტის პროცესების მოწესრიგება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა[68], რომლის ვალდებულება საერთაშორისო აქტებითაც აქვს აღებული საკუთარ ტერიტორიაზე მოსახლეობის უვნებელ გარემოში ცხოვრებისათვის.

მკაცრი კონტროლის განხორციელება, პირველ რიგში, გულისხმობს შესაბამისი ნებართვებისა და ლიცენზიების არსებობას, იმ პირებზე ვის საქმიანობასაც ზემოაღნიშნულ ნივთიერებებთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოადგენს. სახელმწიფო ადგენს საშიში ქიმიური ნივთიერებების ერთიან სახელმწიფო რეესტრს, სადაც შეიტანება მონაცემები ახალი ან გამოყენებაში არსებული საშიში ქიმიური ნივთიერებების, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული მწარმოებლის, შემნახველის, გადამტანისა და მომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ, აგრეთვე მათ საქმიანობაზე გაცემული ნებართვების შესახებ. დაშვებულია მხოლოდ რეესტრში აღრიცხული ქიმიური ნივთიერებების გამოყენება, ხოლო,

---

* კანცეროგენული ნივთიერებები და პრეპარატები ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სიმსივნური დაავადების განვითარებას („საშიში ქიმიური ნივთიერებების“ შესახებ კანონის მე-2 მუხლი).

* ტერატოგენური ნივთიერებები და პრეპარატები ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ ნაყოფის განვითარების პროცესის დარღვევას და სიმახინჯეებს.

* გონადოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ან ხელს უწყობენ სასქესო ჯირკვლების ფუნქციის მოშლას.

* ემბრიოტროპული ნივთიერებები და პრეპარატები ორგანიზმში მოხვედრისას იწვევენ ჩანასახის განვითარების მოშლას.

[67] „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 2

[68] „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

რეესტრში აღურიცხავი საშიში ქიმიური ნივთიერებების გამოყენება მხოლოდ მაშინაა დაშვებული, როცა ის უკავშირდება მათი გადამუშავების, გაუვნებელყოფისა და განთავსების აუცილებელ ღონისძიებებს[69].

საშიში ქიმიური ნივთიერების იდენტიფიკაციისათვის, მასზე ინფორმაციის მისაღებად, ადამიანის ორგანიზმსა და გარემოზე ზემოქმედების ხასიათისა და ხარისხის მისანიშნებლად, უსაფრთხოების დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველსაყოფად, საჭიროა ყველა საშიში ქიმიური ნივთიერების ნიშანდება და ეტიკეტირება.[70]

საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტი ან ექსპორტი დასაშვებია, თუ შესასყიდი ნივთიერება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტის განმხორციელებელმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა აღნიშნული პროცედურის ჩასატარებლად უნდა მიმართოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია, ისეთი საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი ან ექსპორტი, რომელზეც არ არის წინასწარ დასაბუთებული თანხმობა გაცემული ან ეს თანხმობა არ შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, თუ არასწორად არის ეტიკეტირებული ეს ნივთიერებები ან იმპორტიორი ქვეყანა კრძალავს მის გამოყენებას[71].

კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებები არ უნდა დავუკავშიროთ მასობრივი განადგურების იარაღის, ქიმიური იარაღის შექმნისთვის გამოსაყენებელ ქიმიურ ნივთიერებებს. ვინაიდან, „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ როტერდამის კონვენცია და არც „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“, თავის მოქმედების სფეროს რადიოაქტიურ მასალებსა და ქიმიურ ნივთიერებებზე არ ავრცელებს.

ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც ბრუნვიდან არის ამოღებული, შესაძლოა იყოს ვერცხლისწყლის შემცველი ნაერთები, კაპტაფოლი, ქლორდანი,

---

[69] იგივე. მუხლი 23
[70] იგივე. მუხლი 25
[71] იგივე. მუხლი 28.

მეთილპარათიონი, ნიტროფენი, ეთილენ ოქსიდი და სხვა[72]. ამათ გარდა, ადამიანისთვის შესაძლებელია მომწამვლელი და შხამიანი იყოს მრავალი სხვა ყოველდღიურად გამოყენებადი ქიმიური ნივთიერებებიც, თუ მათი გამოყენება წესების დარღვევით მოხდა. ასეთებს შესაძლებელია მივაკუთვნოთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიკატები - სასუქები, მავნებლებისა და სარეველა მცენარეებისთვის განკუთვნილი ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები. ისინი მავნებლების მოსაკლავად ფრთხილად უნდა იქნას გამოყენებული, რომ არ მოხდეს ადამიანის დაზიანება. ბევრი პესტიციდი შეიწოვება კანის საშუალებით. ზოგიერთმა მათგანმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ნერვულ სისტემაზე და გააძნელოს სუნთქვა[73]. ასევე, საცავების, საწყობების , სატრანსპორტო საშუალებების , სათბურების , ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქცია, რომლებიც ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას თავის მავნე კვალს ტოვებს.

2.1.3.2.2 რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერებები

სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილი იცავს რადიაციულ უსაფრთხოებას და გარემოს რადიაციული დაბინძურებისაგან, რისთვისაც დასჯად ქმედებად აცხადებს რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევას საქართველოს საბაჟო საზღვარზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოება და გარემო იმ მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან, რასაც ეს რადიოაქტიური ნივთიერებები გამოყოფენ. რადიოაქტიური ნივთიერება არის ნივთიერება, (რადიოაქტიური წყარო ან მასალა), რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არის მაიონებელი გამოსხივების წყარო. მაიონებელი გამოსხივება კი მიიღება ბირთვული გარდაქმნების ან ნივთიერებაში დამუხტული ნაწილაკების დამუხრუჭებისას, რომლის ზემოქმედების შედეგად ფიზიკურ ან ბიოლოგიურ სხეულში წარმოიქმნება სხვადასხვა სახის იონები[74]. შედარებით მარტივად, რომ ვთქვათ, მაიონებელი

---

[72] „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის №133/ნ ბრძანება.

[73] „Common and Dangerous Poisons“ https://www.poison.org/common-and-dangerous-poisons

[74] „ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 დეკემბერი №150 ბრძანება.

გამოსხივების ზემოქმედების ქვეშ, შესაძლებელია მოსახლეობის რადიაციული დასხივება.

რადიოაქტიური ნივთიერებები იყოფა 4 სხვადასხვა კატეგორიად, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან გარკვეული თვისობრიობით. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ მეოთხე და მესამე ჯგუფის კატეგორიის რადიოაქტიური ნივთიერებები უქმნის საფრთხეს რადიაციულ უსაფრთხოებას. მეოთხე ჯგუფში შედის პლუტონიუმი, მადნისაგან განსხვავებული ფორმის ურანი და ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მოცემული იზოტოპების ნარევს. მე-3 ჯგუფში შემავალი ნივთიერებები ძირითადად გვხვდება სამრეწველო მასალებში. ისენი ძირითადად გამოიყენება ინდუსტრიულ წარმოებასა და კვლევებში, მაგრამ ზოგჯერ გამოიყენებენ რადიოაქტიური გამოსხივების მექანიზმის შესაქმნელად, რის გამოც ამ სახის ნივთიერების გადაზიდვის შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური დაფასოება და გადაზიდვისათვის აუცილებელი საერთაშორისო სტანდარტების პირობების შესრულება. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქ მოიაზრება მედიცინაში გამოყენებული იზოტოპები. თვითონ კანონშიც აღნიშნულია, რომ ტერორისტული მიზნით მათი გამოყენება ნაკლებად შესაძლებელია. ხოლო, პირველი ჯგუფში შემავალი ნივთიერებები საერთოდ არ წარმოადგენენ საფრთხეს და უფრო მეტიც, ისინი გარემოში ბუნებრივად არსებობენ. ყველა მინერალი და ქანი შეიცავს მცირე რაოდენობით ურანს, თორიუმისა და კალიუმის რადიოაქტიურ იზოტოპს. ბუნებრივ რადიოაქტიურ ნივთიერებებს ასევე შეიცავს კერამიკული ფილები, ხრეში, კალიუმიანი სასუქები და აირპროპანის ცილინდრები[75]. მიუხედევად საფრთხის წარმოქმნის კუთხით ამ განსხვავებებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ აკეთებს დიფერენცირებას და მათ შემოტანისა და გატანის წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობის თანაბარ ზომას ითვალისწინებს.

საქართველოს კანონი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ რადიოაქტიური ნივთიერებების მსგავს რეგულაციებს, აკრძალვებს და ნებართვებს აწესებს ბირთვულ ნივთიერებებთან მიმართებითაც. ამ კანონის თანახმად, ბირთვული მასალების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნების შესაქმნელად და აკრძალულია ბირთვული იარაღისა და ბირთვული მასალების შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადება, ფლობა და გადაცემა, ასევე დახმარების

[75] საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბერის №397 დადგენილება.

მოძიება და ბირთვული იარაღისა და ბირთვული მასალების შემცველი სხვა ასათვეთქებელი მოწყობილობების მიღება.

საყურადღებოა, რომ რადიაქტიური ნივთიერება უფრო ფართო ცნებაა და ის სხვა ნივთიერებებთან ერთად მოიცავს ბირთვულ ნივთიერებებსაც. რადიოაქტიური ნივთიერებების IV ჯგუფში მოცემული მასალები გამოიყენება ბირთვულ მექანიზმებში[76]. ანუ რადიოაქტიური ნივთიერებების მეოთხე ჯგუფში შემავალი ნივთიერებები წარმოადგენენ ბირთვულ ნაწილებს. როგორც ვახსენეთ, ამ ჯგუფში შედის პლუტონიუმი, მადნისაგან განსხვავებული ფორმის ურანი და ნებისმიერი მასალა, რომელიც შეიცავს მოცემული იზოტოპების ნარევს. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მიხედვით კი ბირთვული (ხლეჩადი) მასალა არის ურანი - 233; ურანი - 235 -ით ან ურანი - 233 -ით გამდიდრებული ურანი; ამ იზოტოპების შემცველი ურანი, რომლის შემადგენლობა ემთხვევა ბუნებრივს, მაგრამ რომელიც არ არის მადანი ან მადნის ნარჩენი; გაღარიბებული ურანი; პლუტონიუმი, გარდა პლუტონიუმ - 238-ისა, რომელშიც იზოტოპური კონცენტრაცია აღემატება 80%-ს; თორიუმი მეტალური, შენადნობის, სინჯის, ქიმიური მინარევის ან კონცენტრატის სახით; ნებისმიერი მასალა, რომელიც ხდება ხლეჩადი მის შემადგენლობაში მყოფი იზოტოპების ნეიტრონებთან ურთიერთქმედებისას და რომელიც წარმოქმნის მაიონებელ გამოსხივებას ბირთვული ხლეჩადი პროცესის დროს.

რადიოაქტიური და ბირთვული მასალები ძირითადად გამოიყენება ბირთვული იარაღის საწარმოებლად. ბირთვული, იგივე ატომური იარაღი კი მასობრივი განადგურების იარაღის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს. ბირთვული იარაღი განიმარტება როგორც ხელსაწყო, რომელიც ქმნის ატომურ ენერგიას აფეთქების გზით, ატომის გაყოფის ან სინთეზის რეაქციის შედეგად.

საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური მასალების იმპორტი და ექსპორტი დასაშვებია მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის საფუძველზე. სწორედ ამიტომ კანონით დადგენილი მიზნების მისაღწევად

[76] „საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბერის №397 დადგენილების მე-2 მუხლი - ტერმინთა განმარტება.

სახელმწიფო აწესებს კონტროლს რადიოაქტიური მასალების საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტზე, ტრანზიტზე და საქართველოს ტერიტორიიდან ექსპორტზე[77].

რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის აღმოჩენის, შეფასების, რეაგირების, გაუვნებელყოფის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, იზოლირების, შენახვისა და აღნიშნული პროცესების მონიტორინგისათვის პასუხისმგებელნი არიან თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურები: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფლებამოსილი დანაყოფები, საბაჟო ორგანო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირები: სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, აეროპორტების საავიაციო უშიშროებისა და ნავსადგურების უსაფრთხოების დაცვის შესაბამისი სამსახურები[78].

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საბაჟო ორგანო, აეროპორტების საავიაციო უშიშროებისა და ნავსადგურების უსაფრთხოების დაცვის სამსახურები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების აღმოჩენას, შეჩერებასა და რეაგირებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების გატარებას. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, საბაჟო კონტროლის ზონაში შეამოწმოს სატრანსპორტო საშუალება, ფიზიკური პირი, მისი კუთვნილი ბარგი, ხელბარგი, საქონელი და მათი თანმხლები დოკუმენტაცია, როგორიცაა საბაჟო დეკლარაცია, სატრანსპორტო ზედდებული, ინვოისი, სანებართვო მოწმობა და სხვა. ასევე, გახსნას სატრანსპორტო საშუალება და შეამოწმოს მასში ჩატვირთული საქონელი (ტვირთი) და გაატაროს სხვა კონტროლის ღონისძიებები, რომელიც საქართველოს საბაჟო კოდექსითაა გათვალისწინებული. ამასთან, ვინაიდან საქმე გვაქვს საერთაშორისო ხასიათის და არამხოლოდ ლოკალური ხასიათის

[77] „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი .მუხლი 38

[78] საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბერის №397 დადგენილება .- მუხლი 3

დანაშაულთან, მონაცემები ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერების აღმოჩენის და დაკავების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შესაბამისმა დანაყოფმა აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტს უნდა მიაწოდოს აღნიშნული ინფორმაციის მიღებიდან 48 საათის განმავლობაში[79].

საქართველოში ბირთვული მასალისა და რადიოაქტიური წყაროების არალეგალური მიმოქცევის მცდელობის არაერთი ფაქტია დაფიქსირებული. აღნიშნული ფაქტები გამოვლინდა როგორც ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ასევე სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე დამონტაჟებული სპეციალური აღჭურვილობის მეშვეობით.[80]

მნიშვნელოვანია, რომ რადიოაქტიურ კონტროლს რადიაქტიური ნივთიერებების და ბირთვული მასალების გარდა, ექვემდებარება რადიოაქტიური ნარჩენები და მინერალები (წიაღისეული), რომლებისგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, აგრეთვე ნებისმიერი ნივთი, რომელიც დამზადებულია ბირთვული მასალის ან რადიოაქტიური ნივთიერებისაგან ან/და შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს.

რადიოაქტიურ ნარჩენებს წარმოადგენენ გამოყენებიდან ამოღებული რადიოაქტიური წყაროები და ნივთიერებები, მაგრამ მიუხედავად თავიანთი მდგომარეობისა კვლავ დიდ საფრთხეს წარმოადგენენ სამყაროსთვის, რისთვისაც მნიშვნელოვანია მათი სამარხებისა და საცავების კანონით მკაცრად დადგენილი წესით მომზადება. მათი მომზადების დროს გასათვალისწინებელია ირგვლივ დაცვითი ზონები, ფართობი და სხვა მრავალი რამ. რადიოაქტიური ნარჩენების სამარხისა და რადიოაქტიური ნარჩენების საცავის დაცვით ზონებში დაუშვებელია რამე სახის საქმიანობის განხორციელება ან ობიექტის განთავსება[81].

ქართული კანონმდებლობა რადიოაქტიური ნარჩენების საკითხსაც ისეთივე სიფრთხილით უდგება, როგორც რადიოაქტიურ ნივთიერებს და მათზეც მთელ რიგ საკანონმდებლო შეზღუდვებს ავრცელებს. ნარჩენების მართვაც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. ამასთან, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია

---

[79] იგივე. მუხლი 4.

[80] „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების 2021 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის N208 დადგენილება.

[81] „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ“ საქართველოს კანონი.

რადიოაქტიური ნარჩენების ტრანზიტი, საქართველოს ფარგლების გარეთ წარმოქმნილი რადიოაქტიური ნარჩენების იმპორტი და რადიოაქტიური ნარჩენების ნებისმიერი მიზნით რეექსპორტი[82], ხოლო ექსპორტი დასაშვებია მხოლოდ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე[83].

მიუხედავად იმისა, სსკ-ის 214-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აწესებს რადიოაქტიურ ნარჩენებზე, რაც არსებული მუხლის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ და მნიშვნელოვანია მათზეც გავრცელდეს 214-ე მუხლი, მსგავსად რადიოაქტიური ნივთიერებებისა. ვინაიდან ისინიც მნიშვნელოვან რადიოაქტიური დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ.

სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებულია ამავე კოდექსის 230-ე მუხლი, რომელიც ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო ექსპორტისა იმპორტისთვის. იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ერთი შეხედვით ჩანს, თითქოს რომ ერთიდაიმავე დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 2 მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას, მაგრამ მათ შორის არის განსხვავება. კერძოდ სსკ-ის 230-ე მუხლით დაწესებული უკანონო ექსპორტ-იმპორტი დაკავშირებულია ამ ნივთიერებების სხვა სახელმწიფოში მცხოვრებ პირზე უკანონო გასხვისებასთან ან პირიქით, სხვა სახელმწიფოში მცხოვრები პირისგან მის შეძენასა და საქართველოში შემოტანასთან. აღნიშნული მუხლის სუბიექტი უშუალოდ არ ახდენს ამ ნივთიერებების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადატანა-გადმოტანას. მისი მოქმედება გამოიხატება ექსპორტიორთან ან იმპორტიორთან უკანონო გარიგების დადებაში, კანონში მითითებულ ნივთიერებათა საქართველოდან უკანონო გატანისთვის ან შემოტანისთვის პირობების შექმნაში, მაგალითად, სათანადო ტრანსპორტის მოძებნა, ნივთიერების შეფუთვა და ტრანსპორტში მოთავსება, დოკუმენტაციის გამზადება, ფულის გადახდა, საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ნივთების მიღება და სხვა. თუკი ექსპორტიორი ან იმპორტიორი ან იმპორტიორი, ამავე დროს, უშუალოდ ახორციელებს რადიოაქტიური ნივთიერებების საქართველოს

[82] „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი.
[83] იგივე-მუხლი 36

საბაჟო საზღვარზე გადატანას ან გადმოტანას მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 230-ე და 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილებით.[84]

დაგროვილი სასამართლო პრაქტიკის უმრავლეს შემთხვევაშიც, ეს ორი მუხლი განუყრელია და რადიოაქტიური ნივთიერებების საზღვარზე წესის დარღვევით გადმოტანა-გადატანისთვის განაჩენი დანაშაულთა ერთობლიობით დგება. რეკომენდირებულია 230-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები „იმპორტი და ექსპორტი". მარტივი მაგალითისთვის, სსკ-ის 236-ე მუხლთან რომ გავაკეთოთ შედარება, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება საქართველოს ფარგლებში კვალიფიცირდება ამ მუხლით, ხოლო საქართველოს საბაჟო საზღვარზე მისი წესის დარღვევით გადატანა - გადმოტანისთვის მხოლოდ 214 -ე მუხლის მე-4 ნაწილით. სსკ-ის 236 -ე მუხლშიც რომ ეწეროს სიტყვები „ექსპორტი და იმპორტი", აქაც დანაშაულთა ერთობლიობას მივიღებდით სახეზე. შესაბამისად, უმჯობესია რადიოაქტიური ნარჩენების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებაც მხოლოდ ერთი მუხლით დაისაჯოს და ერთი ქმედებისთვის ორი მსგავსი მუხლით არ მოხდეს კვალიფიკაცია.

მისასალმებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს შედარებით უახლესი, 2020 წლის 26 მარტის განაჩენი. მართალია ამ საქმეზეც სასამართლომ ბრალდებული მ.ი -ს ქმედება რადიოაქტიური ნივთიერების საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოტანისთვის დააკვალიფიცირა 214-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და 230-ე მუხლით, მაგრამ აქ 230-ე მუხლი გამოიყენა რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა და განკარგვის მცდელობის კვალიფიკაციისთვის, ვინაიდან მასალებიდან დგინდებოდა და თვითონ ბრალდებულიც აღიარებდა, რომ უკანონოდ შემოტანილი ბირთვული მასალა რუსეთში მიჰქონდა გასაყიდად. სწორედ ამ საფუძვლით დააკვალიფიცირა სასამრთლომ ბრალდებულის ქმედება ამ ორი მუხლის ერთობლიობით.

სსკ-ის 230-ე მუხლთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობა რადიოაქტიურ ნივთიერებთან ერთად დაწესებულია რადიოაქტიურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარჩენების უკანონო მოპყრობაზეც, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

---

[84] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა, 2016 წელი, 645 გვ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კიდევ ერთი, სპეციალური მუხლით, ითვალისწინებს რადიოაქტიურ, სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას. სსკ - ის 234-ე მუხლის თანახმად, დასჯადია საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, სახიფათო ნარჩენების ტრანზიტი, იმპორტი ან სახიფათო ნარჩენების უკანონო ექსპორტი. როგორც ვხედავთ ეს მუხლი სსკ -ის 230 -ე მუხლის ანალოგიურია, თანაც სასჯელის სახით იგივე პასუხისმგებლობას აწესებს - 5 დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

საინტერესოა პრაქტიკაში არსებული ძირითადი მიდგომითა და კომენტარისეული განმარტების შესაბამისად, როგორ მოხდება საბაჟო საზღვარზე რადიაქტიური ნარჩენების გადამტანი პირის დასჯა, ვინაიდან თუ სიტყვა „იმპორტი“ გულისხმობს მხოლოდ გადაგზავნას, სათანადო შეფუთვის მომზადებასა და ტრანსპორტში მოთავსებას, ფულის გადახდას, დოკუმენტაციის გამზადებას, საზღვარგარეთიდან ნივთის მიღებას და არა უშუალოდ მის მიერ საზღვარზე ამ საქონლის გადაადგილებას, გამოდის, რომ ამ ჩამოთვლილი მოქმედებებისთვის (ანუ იმპორტისთვის) პირი უნდა დაისაჯოს სსკ-ის 234-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს რვიდან თოთხმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. ხოლო, იმ შემთხვევაში კი თუ რადიოაქტიურ ნარჩენებს საბაჟო საზღვარზე პირი უშუალოდ თვითონ გადაადგილებს წესების დარღვევით, შესაძლოა არც კი დაეკისროს სს პასუხისმგებლობა, ვინაიდან სსკ-ის 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილი რადიოაქტიური ნარჩენების გადატანა-გადმოტანის წესის დარღვევას არ ითვალისწინებს და პირველი ნაწილით პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის შესაძლებელია კანონით დადგენილ საბაჟო ღირებულების ზღვარს არც კი გადაცდეს.

როგორც ვხედავთ, რადიოაქტიურ ნივთიერებთან და მათ ნარჩენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივი რეგულირება და საკანონმდებლო ჩანაწერი საჭიროებს ცვლილებებსა და დახვეწას.

რაც შეეხება ფეთქებად ნივთიერებებს, 1991 წლის 9 მარტის, „ფეთქებადი ნივთიერებების გამოვლენის მიზნით მათი ნიშანდების შესახებ“ კონვენციას საქართველო 2000 წლის 24 ივნისს შეუერთდა. ამ კონვეციის მონაწილე სახელმწიფოები გამოხატავენ უდიდეს შეშფოთებას ტერორიზმის აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს საჰაერო ხომალდების, სხვა სატრანსპორტო საშუალებისა და ობიექტების განადგურებას. ამგვარი ტერორისტული აქტების განსახორციელებლად გამოყენებულია პლასტიკური ფეთქებადი

ნივთიერებები. კონვენციის მონაწილე მხარეები აღნიშნავენ, რომ ასეთი ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდება მათი გამოვლენის მიზნით მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს მსგავსი უკანონო აქტების თავიდან აცილებას.

კონვენციის თანახმად, .„ფეთქებადი ნივთიერებები“ აღნიშნავს ფეთქებად პროდუქტებს, რომლებიც ფართოდ ცნობილია როგორც „პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებები“, მათ შორის, ფეთქებადი ნივთიერებები დრეკადი ან ელასტიური ფურცლოვანი ფორმით.[85] ფეთქებადი ნივთიერებას გარკვეული ზემოქმედების შედეგად ახასიათებს სწრაფად გავრცელებადი ქიმიური გარდაქმნა (აფეთქება), რა დროსაც გამოიყოფა დიდი კინეტიკური ენერგია, გაზი და ტემპერატურა, რომლის გამოყენება შეიძლება მექანიკური მოძრაობითი სამუშაოს შესასრულებლად ან სხვადასხვა საგნის დასანგრევად. ასეთი ნივთიერებები შესაძლოა იყოს ტროტილი, დინამიტი, ამონალი, პლასტიტი და სხვა. [86]

ფეთქებად ნივთიერებებს, ასევე იყენებენ სამრეწველო დანიშნულებით, საამფეთქებლო სამუშაოების ჩასატარებლად, რომელთა ბრუნვასთან დაკავშირებით კანონმდებელი განსაკუთრებით მკაცრ რეგულაციებს აწესებს. აღნიშნული მასალების ბრუნვაში მოიაზრება ასევე ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი.[87] , მათ იყენებენ ჭაბურღილებზე ხანძრის ჩაქრობისათვის საჭირო საამფეთქებლო სამუშაოების ჩასატარებლად, არხების და თხრილების შექმნისთვის, სატყეო და გაფხვიერების სამუშაოებისთვის და სხვა.

2.1.3.2.3. შეიარაღება, შეიარაღებაასაფეთქებელი მოწყობილობა და ცეცხლსასროლი იარაღი

შეიარაღება არის ადამიანთა სამხედრო შესაიარაღებლად საჭირო ნივთების ერთობლიობა. კერძოდ, სამხედრო შეიარაღებისთვის საჭირო იარაღი, ტანსაცმელი, რადიოტექნიკური და სატრანსპორტო საშუალება და ა.შ.[88]

---

[85] „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ როტერდამის კონვენციის პირველი მუხლი.

[86] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ.661.

[87] „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების“, „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისი №95 დადგენილება.

[88] ლეკვეიშვილი, თოდუა, მამულაშვილი, კერძო ნაწილი 1 გვ.658. , 2016. მერიდიანი

იარაღების დაყოფა ხდება სამოქალაქო, სამხედრო-საბრძოლო და სამსახურებრივ-საშტატო დანიშნულების შესაბამისად[89].

სამხედრო შეიარაღებისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ბრუნვასთან დაკავშირებულ წესს აწესრიგებს საქართველოს კანონი „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“. ხოლო, სამოქალაქო იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „იარაღის შესახებ“.[90]

ორმაგი დანიშნულების პროდუქცია არის პროდუქცია (მათ შორის, კომპიუტერული პროგრამა ან/და ტექნოლოგია), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ბიოლოგიური ან/და ქიმიური იარაღის, ბირთვული იარაღის ან ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად, ისე არაფეთქებადი მიზნებისათვის.[91]

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხა განსაზღვრულია ,,სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის №394 დადგენილების (13.06.2014) №2 დანართით.

ამ ნუსხით ხორციელდება საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი, საქართველოს ეროვნული უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმების განსამტკიცებლად[92].

სამხედრო დანიშნულების პროდუქცია განსაზღვრულია, ,,სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის №394 დადგენილების (13.06.2014) №1 დანართით. აღნიშნული ნორმატიული აქტი საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს ადგენს თუ რომელი იარაღი/მასალა ითვლება სამხედრო პროდუქციად. ეს შესაძლებელია იყოს სპეციალურად სამხედრო გამოყენებისთვის შექმნილი და სხვა ავტომატური გლუვლულიანი იარაღი, სამხედრო ცეცხლსასროლი ავტომატური შაშხანები და ტყვიამფრქვევები, ნაჭდევებიანი

[89] „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

[90] „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

[91] იგივე. მუხლი 2

[92] ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი - https://exportcontrol.mod.gov.ge/pages/33

არაუკუმგორავი ქვემეხები, ხმის დამხშობები აგრეთვე, იარაღის ალის ჩამხშობები, სავაზნე მჭიდები, მარეგულირებლები, სპეციალური სადგარები, ოპტიკური სამიზნეები და სხვა. ხოლო, ასაფეთქებლებს განეკუთვნება ბომბები, კვამლის ბომბები, სიღრმის ბომბები, ტორპედოები, ყუმბარები, რაკეტები, ნაღმები, რეაქტიული ჭურვები, ასაფეთქებელი მუხტები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ასაფეთქებელი კომპლექტები, პიროტექნიკური მოწყობილობები[*], ვაზნები და სიმულატორები[93]. ასევე, თვითმფრინავების დაცვის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები, როგორიცაა: რაკეტის აღმომჩენი გამაფრთხილებელი სენსორი, ხაფანგი, რომელიც ქმნის ხილულ და ინფრაწითელ ნიშანს სიგნატურას მიწა-ცის კლასის რაკეტის დეზორიენტირებისთვის.

ზემოაღნიშნული გარდა საბრძოლო იარაღში იგულისხმება ასევე საბრძოლო მასალისთვის და ასაფეთქებელი მოწყობილობებისთვის სპეციალურად შექმნილი კომპონენტები. ესენია, ლითონის ან პლასტმასის კაფსულა-დეტონატორები და მისი საბჯენები, ვაზნების ჰილზები, სავაზნე ლენტის რგოლები, ჭურვის წამყვანი სარტყლები და საბრძოლო აღჭურვილობის ლითონის ნაწილები, ფეთქებადი ნივთიერებებისთვის განკუთვნილი საწვავის კონტეინერები, უსაფრთხოების და მოქმედებაში მომყვანი მოწყობილობები, ფეთქებადი ნივთიერებები, სენსორები და გამშვები მოწყობილობები. ეს ჩამონათვალი კანონით დადგენილ ნუსხასთან შედარებით რა თქმა უნდა ამომწურავი არაა და სრულყოფილად ვერც ჩამოვთვლით,

მაგრამ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი და ტრანზიტი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული სპეციალური ნებართვის საფუძველზე ხორციელდება. ნებართვის გამცემი ორგანო კი შემოსავლების სამსახურია. [94]

რაც შეეხება ცეცხსასროლ იარაღს, ეს არის იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენთის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერგიის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან

[*] პიროტექნიკა - სხვადასხვა სახის საწვავის და დამჟანგავების მყარი ან თხევადი მდგომარეობის ნაერთები, რომლებიც აალების დროს კონტროლირებადი სიჩქარით შედიან აქტიურ ქიმიურ რეაქციაში, რაც ქმნის დროებით შეფერხებას ან სითბოს, ხმაურის, კვამლის, ხილული შუქის ან ინფრაწითელი გამოსხივების დიდ რაოდენობას. პიროფორული ნივთიერებები წარმოადგენს პიროტექნიკის ქვეკლასს, რომელიც არ შეიცავს დამჟანგავებს, თუმცა, ჰაერთან კონტაქტისას თვითნებურად აალდება;

[93] იგივე. მუხლი 4

[94] იგივე, მუხლი 10.

მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად[95]. სამოქალაქო იარაღის სახეებია თავდაცვის, სპორტული, სანადირო, საკოლექციო და სასიგნალო.[96]

სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის, საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამ მუხლით გათვალისწინებულ ნებართვას/ლიცენზიას არ საჭიროებს საქართველოს კანონმდებლობით სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული აეროზოლური მოწყობილობა და პნევმატური იარაღი, აგრეთვე სასიგნალო იარაღი (მოწყობილობა).[97]

მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის შიდასახელმწიფოებრივ ბრუნვას სსკ-ის 236 - ე მუხლი არეგულირებს. ხოლო, 214-ე მუხლი აწესებს დასჯადობას საბაჟო საზღვარზე გადაადგილებაზე, კერძოდ იმპორტზე, ექსპორტზე, ტრანზიტზე.

ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსად, ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებაზე ნებართვა ვრცელდება ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებზეც. ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტებია ლულა, დოლურა, ჩამკეტი, ჩარჩო, ლულის კოლოფი.[98]

ასეთივე კონტროლი წესდება საკონტროლო ნუსხით განსაზღვრული საქართველოს შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სასწავლო და სამხედრო დანიშნულების დამხმარე ქონების შემადგენელი ნაწილებზეც[99]. მიუხედავად ამისა, საბრძოლო ტექნიკისა თუ ცეცხსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილების საბაჟო საზღვარზე გადაადგილების წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას სსკ-ის 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილი არ

---

[95] „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლი.

[96] იგივე, მუხლი 4.

[97] „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.

[98] იგივე. მუხლი 2

[99] „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი

ითვალისწინებს. რის გამოც, პრაქტიკაში განაჩენი დგება სსკ-ის 214 -ე მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით, მათი საბაჟო ღირებულების გათვალისწინებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ ი.ი-მ და მისმა თანამზრახველებმა გადამზიდავი კომპანიის შპს ,,საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით ე.ი-ს საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოუგზავნეს საფოსტო ამანათი, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა 2019 წლის 1 მარტს და რომელშიც დეკლარირებული საქონლის ნაცვლად, მალულად მოთავსებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილების 16 კომპლექტი, რომელთაგან 7 (შვიდი) კომპლექტი იყო ქარხნული წესით დამზადებული 9 მმ კალიბრის პისტოლეტის - GLOCK-19-ის, ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილები (ჩამკეტი გარსაცმით სრული კომპლექტაციით, ლულა, დამაბრუნებელი ზამბარა, სამიზნე თამასა და სამიზნე ნიშანი), ხოლო 9 (ცხრა) კომპლექტი - ქარხნული წესით დამზადებული 9 მმ კალიბრის პისტოლეტის G-ის, ცეცხლსასროლი იარაღის, შემადგენელი ნაწილები (ჩამკეტი გარსაცმით სრული კომპლექტაციით, ლულა, დამაბრუნებელი ზამბარა, სამიზნე თამასა და სამიზნე ნიშანი), რომელთა საბაჟო ღირებულებამ 21 131 ლარი შეადგინა, რაც წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას.

ი.ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მე-5 ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლის ვადით.

ვფიქრობთ, სსკ-ის 214 -ე მუხლის მეოთხე ნაწილით, პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ცეცხსასროლი იარაღის შემადგენელ ნაწილებზეც. რადგან გარდა იმისა, რომ ლიცენზიების და ნებართვების საჭიროება მათ განკარგვაზე და ბრუნვაზეც ვრცელდება, სპეციალური განათლების მქონე და სათანადო ცოდნით აღჭურვილი პირებისთვის მარტივია იარაღის შემადგენელ ნაწილებად დაშლა და მისი აწყობა. უფრო მეტიც, სამხედრო სავალდებულო სამსახურშიც კი ისწავლება აღნიშნული და ამ პირმა იარაღი დაშლილ მდგომარეობაში რომ შემოიტანოს, გამოდის, რომ 214-ე მუხლის მეოთხე ნაწილი აღარ გვექნება.

2.1.3.2.4 მასალები და მოწყობილობები, რომლებიც გამოყენება მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ჩვეულებრივი შიარაღების უკონტროლო აკუმულაცია რთულ რეგიონებში საფრთხეს უქმნის გლობალურ და რეგიონალურ უსაფრთხოებას, მშვიდობასა და სტაბილურობას. ამ მხრივ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს შესაძლო რისკი იმისა, რომ მასობრივი განადგურების იარაღი და მათი გადატანის საშუალებები შეიძლება იოლად მისაწვდომი გახდეს როგორც მაღალი რისკის ქვეყნებისათვის, ასევე ტერორისტული ორგანიზაციებისთვის[100].

მასობრივი განადგურების იარაღის ცნება გაერომ მოგვცა 1948 წელს. მასობრივი განადგურებისაა ისეთი იარაღი, რომელიც მოქმედებს რადიოაქტიური მასალის დახმარებით ან ნებისმიერი აფეთქების გზით. იგი წარმოადგენს სასიკვდილო ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ (ანუ ბიოლოგიურ) , ტოქსიკურ, ბიოლოგიურ და სხვა იარაღს, რომელსაც აქვს ატომური ბომბის ან სხვა ზემოთ ჩამოთვლილი იარაღის თვისება და სპობს ადამიანებს ან აზიანებს მათ ჯანმრთელობას.[101] მასობრივი განადგურების იარაღი, როგორც კრებითი ტერმინი, გამოხატავს სამი კლასის იარაღთა სისტემას: ქიმიურს, ბიოლოგიურს და ბირთულს ანუ ატომურს[102].

2021 წლის 11 მაისის №208 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ გამოწვევებთან ბრძოლის სტრატეგია შეიმუშავა. ვინაიდან, მათ მიერ გამოწვეულ ავარიულ შემთხვევებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საზოგადოების ჯანმრთელობას, სახელმწიფო უწყებების და კერძო სექტორის ინფრასტრუქტურას[103]. საქართველოს ადრეულ წლებშიც ჰქონდა მსგავსი სტრატეგია გაცხადებული. ამ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო და არის ამერიკის შეერთებული შტატები. 1997 წლის 17 ივლისის „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში

---

[100] საერთაშორისო სანქციები და ემბარგო - იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი (mod.gov.ge); https://exportcontrol.mod.gov.ge/index

[101] მ. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2019 წელი,

[102] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი

[103] „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების 2021 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ სქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის N208 დადგენილება

თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ“ შეთანხმებით ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს დახმარებას უწევს ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღისა და მათთან დაკავშირებული მასალების არასანქცირებული გატანისა და ტრანსპორტირებისა თავიდან აცილებაში. ვინაიდან მნიშვნელოვანია, არ დაუშვან საქართველოდან ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღისა და მათთან დაკავშირებული მასალების არასანქცირებული გატანა და ტრანსპორტირება.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ინციდენტები საზიანოა როგორც გარემოს, ასევე ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას და შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს გამართულ ფუნქციონირებაზე იმის მიხედვით, თუ რა მასშტაბისაა ასეთი შემთხვევა.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული ნივთიერებები საშიშია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით ან ბიოლოგიური აგენტებით გარემოს, კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის დაბინძურება, მცენარეებისა და ცხოველების ინფიცირება, აირადი ქიმიური ნითიერებებისა და ბიოლოგიური აგენტების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და ტრანსპორტში გაშვება; ქიმიური წარმოების ობიექტების დაზიანება და სხვა;[104]

უნდა აღინიშნოს, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები რადიაქტიური ნივთიერები სწორედ, რომ ის მასალებია, რომლებიც გამოიყენება მასობრივი განადგურების იარაღის ერთ - ერთ სახეობის, ბირთვული (ატომური) იარაღის დასამზადებლად. ასევე, ორმაგი დანიშნულების პროდუქციაც, გულისხმობს პროდუქციას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ბიოლოგიური ან/და ქიმიური იარაღის, ბირთვული იარაღის ან ბირთვული მასალის შემცველი სხვა ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად. შესაბამისად მუხლის აღნიშნულ ნაწილში, მათგან მძიმით გამოყოფილი სიტყვები „იმ მასალის ან მოწყობილობის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად“ შესაძლოა გულისხმობდეს მასობრივი განადგურების იარაღისთვის შესაქმნელ სხვა დანარჩენ ნივთიერებებს, რომლებზეც არ ვრცელდება „რადიოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ და „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონები.

---

[104] „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების 2021 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ სქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის N208 დადგენილება

2.1.3.2.5. სტრატეგიული ნედლეული

სტრატეგიულ ნედლეულს, მასლას ან პროდუქციას განეკუთვნებიან პურპროდუქტები, ნავთობპროდუქტები და მისთ. ბუნებრივი გაზი, ძვირფასი და ფერადი ლითონები[105].

სასურსათო ნედლეულსა და საკვებ პროდუქტებში რეგლამენტირდება ძირითადი ქიმიური დამაბინძურებლების შემცველობა, რომლებიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. დაუშვებელია მეცხოველეობის ნედლეულის წარმოებისას ცხოველთა საკვების დანამატების, ვეტერინარული სამკურნალო წამლებისა და დასამუშავებელი პრეპარატების გამოყენება, რომლებიც აქვეითებენ საკვები პროდუქტების ხარისხს და არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით. სასურსათო ნედლეულსა და საკვებ პროდუქტებში არ დაიშვება ადამიანისა და ცხოველების ინფექციური დაავადებების გამომწვევი პათოგენური მიკროორგანიზმებისა და პარაზიტული ორგანიზმების არსებობა. [106]

საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საკვები პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სანიტარიული წესების მოთხოვნებს.

მნიშვნელოვანია ასევე იმპორტირებული გენმოდიფიცირებული საკვების რეგულირების საკითხი. სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმები და გენმოდიფიცირებული პროდუქტი იმპორტისას ეტიკეტირებული უნდა იყოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და დგენილი წესით. იმპორტისას სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შეუძლებლობის შემთხვევაში მათ უნდა ერთოდეს თანმხლები დოკუმენტი. [107]

---

[105] მ. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი, 2016 წელი, გვ.250

[106] "სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანება -V. ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი

[107] . სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლი.

არსებობს სტრატეგიული ნედლეულის სამხედრო განმარტებაც. რომლის თანახმად, სტრატეგიული ნედლეული არის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც საჭიროა შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის წარმოების, შეიარაღებული ძალების აღჭურვის, მომარაგებისა და სასურსათო მარაგის შექმნისათვის. იყოფა სამრეწველო, მატერიალურ, ხელოვნურ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულად. სტრატეგიული ნედლეულის არსებობა, მისი წარმოების და მოპოვების მასშტაბი განაპირობებს სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს[108].

2.1.4. დანაშაულის ჩადენის ხერხები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით განსაზღვრული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ აქტიური მოქმედებით. პირის ქმედება მიმართულია იქითკენ, რომ საბაჟო ფორმალობებს და ვალდებულებებს თავი აარიდოს. მოცემულ შემთხვევაში თავად განსახილველ მუხლი ჩამოთვლის იმ ქმედებებს, რომლითაც შესაძლოა პირმა საქონელი საბაჟო საზღვარზე საბაჟო წესების დარღვევით გადაადგილოს. ესენია: საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, საბაჟო კონტროლისგან მალულად, დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებითა და საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. სანამ უშუალოდ ჩამოთვლილი ქმედებების განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ საბაჟო საზღვარზე ნივთის გადატანა-გადმოტანასთან დაკავშირებული საბაჟო წესები და ფორმალობები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა/გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის* ან კანონით განსაზღვრული სხვა ადგილის გავლით[109]. საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან

[108] http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/სტრატეგიული_ნედლეული

* საბაჟო გამშვები პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი პროცედურები- საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლი.

[109] საქართველოს ფინანსათა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №2, პირველი მუხლი.

ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და სავალდებულოა მისი წარდგენა საბაჟო ორგანოსთვის.[110]

საქონლის წარდგენა ნიშნავს, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე ან მასთან შეთანხმებულ სხვა ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის საბაჟო ორგანოსთვის მიწოდებას.[111]

სახმელეთო გზით შემოსვლის დროს, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ შემოტანილი საქონელი წარდგენილ უნდა იქნას სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებში. არის შემთხვევები, როდესაც სასაზღვრო კონტროლი და წარდგენა ერთდროულად ხორციელდება შემოსავლების სამსახურის მიერ. სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტში პირმა საქონლის წარდგენა უნდა განახორციელოს საბაჟო კონტროლის ზონაში მისი განთავსებით და ზოგადი დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენით. საზღვაო პორტებთან მიმართებით კანონი არ აწესებს საქონლის წარდგენის ვალდებულებას და საქონელი წარდგენილად ჩაითვლება სატვირთო მანიფესტის წარდგენის შემთხვევაში. ხოლო, საერთაშორისო აეროპორტების შემთხვევაში კი 15 წუთში უნდა მოხდეს ბარგის ფაქტობრივი წარდგენა სატვირთო მანიფესტის თანხლებით[112].

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. ზოგადი დეკლარირება ასევე ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში[*] და სხვა ადგილებში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.[113] ეს დოკუმენტები შეიძლება იყოს, საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი, კონოსამენტი, ავიაზედნადები, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია ან საფოსტო

---

[110] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №5, პირველი მუხლის 1-ლი პუნქტი.

[111] საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლი-ტერმინთა განმარტება

[112] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №5, მუხლი პირველი.

[*] გაფორმების ეკონომიკური ზონა – შემოსავლების სამსახურის სპეციალურად შექმნილი საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხდება საქონლის გაფორმება- საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლი.

[113] საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

გზავნილების ნუსხა და სხვა. ამასთან, თუ საქონლის შემოტანა ექვემდებარება ნებართვას, დამატებით წარედგინება ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების, რადიოაქტიური წყაროების, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის, სამხედრო პროდუქციის, ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის, ტრანზიტის ნებართვები, მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების შემთხვევაში – იმპორტის წინასწარ დასაბუთებული თანხმობა და სხვა. ამდენად, ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისათვის.[114]

აღნიშნული პროცედურების შემდეგ მნიშვნელოვანი ეტაპია საქონლის გაფორმება და შესაბამისი საბაჟო რეჟიმის განსაზღვრა. საქონლის გაფორმების მიზნით წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაცია, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება სასაქონლო ოპერაცია. სასაქონლო ოპერაციის სახეებია იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი, საბაჟო საწყობი, თავისუფალი ზონა, დროებით შემოტანა, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება, შიდა გადამუშავება, გარე გადამუშავება.

გაფორმების ეტაპზე საქონელი საბაჟო ორგანოს კონტროლის ზონაში უნდა წარედგინოს მისი ფაქტობრივი განთავსებით. კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს როდესაც გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საქონლის ფაქტობრივი წარდგენა არ არის საჭირო[115].

საქონლის მიმართ საბაჟო რეჟიმის გამოყენებისთვის აუცილებელია საქონლის დეკლარირება. კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც საქონლის დეკლარირება არაა აუცილებელი და მგზავრს შეუძლია მის გარეშე გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე. მაგალითად, დეკლარირებას არ ექვემდებარება საქონლის შემოტანა, თუ ის გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელებისგან ან არ აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას და სხვა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა საბაჟო ფორმალობას და პროცედურას სრულყოფილად ვერ განვიხილავთ, მაგრამ

[114] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №5, მეორე მუხლი.

[115] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №8, პირველი მუხლი.

მნიშნელოვანია ვიცოდეთ, რომ ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას, საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილით შემოტანისას და სხვა შემთხვევებში.[116]

საქონლის დეკლარირება ხდება 2 ფორმით, საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ან ზეპირად. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი ფორმით.[117] გაფორმების ეკონომიკური ზონის გარდა, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შევსება და გაფორმება შესაძლებელია ასევე საბაჟო გამშვებ პუნქტებში, დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას ფიზიკური პირის მიერ ან საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენისას. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე.[118]

ზეპირად საქონლის დეკალარირება მხოლოდ მგზავრს შეუძლია[119]. ზეპირთან ერთად შეუძლია ასევე სხვა საშუალებითაც დეკლარირება[120], რაც ნიშნავს იმას, რომ მგზავრმა ორი ფორმით შეიძლება განახორციელოს დეკლარირება, კერძოდ ზეპირი ან ქცევითი (კონკლუდენტური) ფორმით. ზეპირი ფორმით დეკლარირების დროს მგზავრი უცხადებს სიტყვიერად საბაჟო ორგანოს, რომ მას აქვს ან არ აქვს დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი, ხოლო კონკლუდენტური დეკლარირება ნიშნავს ე.წ „მწვანე“ ან „წითელ“ დერეფანში მგზავრის გავლას. შესაბამისად ზეპირ დეკლარირებას (როდესაც მგზავრს აქვს დასადეკლარირებელი საქონელი) ან „წითელ დერეფანში“ გავლას მოყვება წერილობითი დეკლარაციის წარდგენის მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრის გადის „მწვანე“ დერეფანში, იგი საბაჟო ორგანოს „ეუბნება“, რომ მას არა აქვს დასადეკლარირებელი საქონელი.[121]

---

[116] იგივე. მე-3 მუხლი.

[117] იგივე

[118] იგივე. მუხლი 23

[119] იგივე. მუხლი 3

[120] საქართველოს საბაჟო კოდექსის 67-ე მუხლი. ძველი, 2006 წლის 26 ივლისის რედაქცია.

[121] ურიდია გ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა., საბაჟო კოდექსის კომენტარები. თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2007 გვ.140-141.

საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018 წლის 22 ნოემბერის № ბს-572-572(2კ-18) გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ დეკლარირების მიზანს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი ქონების წარდგენა წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული ქმედების ზედმიწევნით განხორციელებაზეა დამოკიდებული საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტურობის ხარისხიც. შესაბამისად, დეკლარაციის წარუდგენლობა და საბაჟო საზღვარზე საქონლის მალულად გადატანა წარმოშობს საფრთხეს იმისა, რომ ზემოხსენებული ქმედებები ვერ განხორციელდება.

საბაჟო პროცედურებისა და ფორმალობების შესრულების მიზნით საბაჟო ორგანო რისკის მართვის ფარგლებში ადგენს საბაჟო კონტროლისადმი ან საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ საქონელთან დაკავშირებული რისკის განსხვავებულ დონეებს და ახორციელებს საბაჟო კონტროლის ღონისძიებებს. ის უფლებამოსილია საბაჟო პროცედურების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს საბაჟო კონტროლი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის შეამოწმოს დეკლარაცია, დოკუმენტი, მონაცემი და მისთვის ნებისმიერი სახით წარდგენილი სხვა ინფორმაცია, დაათვალიეროს ფიზიკური პირი, ჩაატაროს ზეპირი გამოკითხვა, მიიღოს ახსნა-განმარტება, განახორციელოს დაკვირვება (ვიდეო- და აუდიოჩაწერა), დაათვალიეროს საქონელი, სატრანსპორტო საშუალება, შენობა-ნაგებობა და ტერიტორია, ლაბორატორიული კვლევის მიზნით აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში, მოახდინოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდება, განახორციელოს კონტროლისადმი დაქვემდებარებული მიწოდება, განახორციელოს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი, განახორციელოს საბაჟო კონტროლი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ფორმით[122].

საბაჟო კონტროლი, ეფუძნება შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შემოწმებას. აგრეთვე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე შემუშავებული რისკის კრიტერიუმების საფუძველზე რისკის გამოვლენის, შეფასების და პრევენციული ზომების მიღების მიზნით მონაცემთა ავტომატიზებული დამუშავების საშუალების გამოყენებას[123].

რისკი კი არის საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან, ტრანზიტთან, გადაადგილებასთან, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებულ უცხოურ საქონელთან დაკავშირებული შემთხვევის დადგომის

[122] საქართველოს საბაჟო კოდექსის 27-ე მუხლი.
[123] იგივე.

ალბათობა, რომელიც, ხელს უშლის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების სათანადო გამოყენებას, ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფოს ფინანსურ ინტერესს, საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოს და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებას, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას ან მცენარის სიჯანსაღეს, გარემოს ან მომხმარებელს[124].

2.1.4.1. მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით

ნივთების გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით შეიძლება მოხდეს საქართველოს საბაჟო ორგანოების მიერ განსაზღვრული ადგილების მიღმა ან არა იმ დროს, როცა საბაჟო გაფორმება წარმოებს.[125] უფრო ზუსტად კი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლის გადმოტანის/გადატანის მიმართ პირის განზრახვა გამოხატულია შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საბაჟო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით, მათ გარეთ არსებული სივრციდან სახელმწიფო საზღვრის შიგნით ან, პირიქით, საზღვრებს შიგნიდან - გარეთ საქონლის უკანონო გადაადგილების სურვილში[126].

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელება იმთავითვე გულისხმობს მეორე დანაშაულის ჩადენასაც, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას, რომელიც გათვალისწინებულია საქართელოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2016 წლის 17 თებერვლის გადწყვეტილებით მიიჩნია, რომ ს.გ-ის მიერ განხორციელდა საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, ასევე საქართველოს საბაჟო საზღვარზე წესის დარღვევით ცეცხლსასროლი იარაღის გადმოტანა, დანაშაული რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით. იმისთვის, რომ მან 2014 წლის 3 ოქტომბერს დილის საათებში უკანონოდ გადმოლახა მ.-ის რაონის, სოფელ ბ.-ში გამავალ საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო ზოლში არსებული რკინის ღობურა, მასზედ არსებული მავთულხლართი და შემოვიდა ს..-იდან საქართველოს ტერიტორიაზე, რა დროსაც მან

---

[124] იგივე.

[125] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს განაჩენი.

[126] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №ბს-572-572(2კ-18) გადაწყვეტილება.

ს..-იდან საქართველოში შემოიტანა, ბერეტას ფირმის ცეცხლსასროლი იარაღი, რვა ცალი საბრძოლო ვაზნით.

ასევე, ერთ- ერთ საქმეზე სასამართლომ 344-ე და 214-ე შესაბამისი მუხლების ერთობლიობით დააკვალიფიცირა საქართველოს მოქალაქეების მიერ განხორციელებული ქმედება, რომელთაც აზერბაიჯანის მხრიდან, გამთენიისას, ჯგუფურად, უკანონოდ გადმოკვეთეს სახელმწიფო საზღვარი და შემოვიდნენ საქართველოში, რა დროსაც საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით, უკანონოდ გადმოიტანეს სხვადასხვა დასახელების 7 724 ლარის საბაჟო ღირებულების უაქციზო სიგარეტები[127].

ამდენად, თუ პირს საზღვრის უკანონოდ კვეთისას თან ახლავს რაიმე სახის მოძრავი ნივთი, ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით დაკვალიფიცირდება.

2.1.4.2. მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი საბაჟო კონტროლისგან მალულად

პრაქტიკისეული განმარტებები აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით თითქმის იდენტურია. ნივთების გადაადგილება სახელმწიფო კონტროლისაგან მალულად გულისხმობს სამალავებისა და სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას, რაც აძნელებს მათ აღმოჩენას და სხვა[128]. პირმა ნივთი შესაძლოა დამალოს ავტომანქანაში სპეციალურად მოწყობილ სამალავში, სხეულზე ან თუნდაც სხეულში და სხვა. თუმცა, საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის გადმოტანა/გადატანა არ გულისხმობს მხოლოდ სპეციალური სამალავით, ანუ მანქანის კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი, არაქარხნული, კუსტალურად დამზადებული, საქონლის ფარული გადაზიდვისათვის მოწყობილი სპეციალურად დახურული საშუალებით გადაზიდვას. საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის გადაადგილება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ზემოხსენებული სამალავით, ასევე, მის გარეშე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალდარღვევის მალულად ჩადენა არ გამოიხატება აღნიშნული ქმედების კონკრეტული, სპეციალურად მოწყობილი საშუალებისა თუ საგნის გამოყენებით განხორციელებაში. იგი დაკავშირებულია პირის ბრალეულ ქმედებასთან, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პირის განზრახვას, საბაჟო

[127] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განაჩენი.
[128] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განაჩენი.

კონტროლისაგან მალულად გადააადგილოს საქონელი საქართველოს საბაჟო საზღვარზე[129]. მსგავსი საქონელი შესაძლოა ხელ-ბარგშიც იყოს მოთავსებული.

ზეპირი ინტერვიურების დროს თუ პირი დეკლარირებული საქონლის ფლობასთან დაკავშირებით უარს განაცხადებს და რეალურად, კონტროლის ღონისძიებების გატარების შედეგად, აღმოაჩნდება არადეკლარირებული საქონელი, ქმედება უნდა კვალიფირდეს, როგორც მალული. ასევე, საჰაერო მიმოსვლისთვის განკუთვნილ საბაჟო გამშვებ პუნქტში არის ორი, ე.წ „წითელი“ და „მწვანე“ დერეფანი. ხელ-ბარგის აღების შემდეგ მგზავრები აღნიშნული დერეფნისკენ მიემართებიან. მწვანე დერანში 3 ენაზე, ქართულად, ინგლისურად და რუსულად მითითებულია, რომ ბარგში არსებული ნივთები არ ექვემდებარება დეკლარირებას. ე.წ „წითელ“ დერეფანს მგზავრმა უნდა მიმართოს იმ შემთხვევაში თუ მას აქვს ნივთები ან თანხა იმ რაოდენობით, რომლის დეკლარირებაც აუცილებელია, ან თავად მგზავრს აქვს სურვილი, რომ რაღაც დაადეკლარიროს. შესაბამისად, მწვანე დერეფანის არჩევის შემდეგ თუ მოხდა ეჭვის საფუძველზე პირის დათვალიერება, მიიჩნევა, რომ პირი მალულად ახორციელებდა საქონლის გაადადგილებას.

ამდენად, თუ საქონლის გადაადგილება ხდება საქართველოს საზღვარზე დეკლარიების გარეშე, ნებისმიერი ფორმით, იქნება ეს სპეციალურად გაკეთებული სამალავით თუ ხელ-ბარგში მოთავსებით, ჩაითვლება, რომ საქონელი საქართელოს საბაჟო საზღვარზე კონტროლისაგან მალულად გადაადგილდება.

2.1.4.3 ქმედება განხორციელებული დოკუმენტის ან იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით

პირის მიერ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას, წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტი და საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი.[130]

საქონლის ნასყიდობის დოკუმენტია ხელშეკრულება, ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი. სატრანსპორტო დოკუმენტი განსხვავებულია სატრანსპორტო სახეობათა მიხედვით. საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს წარმოდგენი უნდა იქნას სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი, საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი, საჰაერო ტრანსპორტით

[129] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №ბს-572-572(2კ-18) გადაწყვეტილება.
[130] ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №8, მე-6 მუხლი.

გადაზიდვის დროს – ავიაზედდებული, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები[131].

საჭიროების შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უნდა წარეგინოს ასევე ლიცენზიები/ნებართვები/სერტიფიკატები, როგორიცაა ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა, რადიოაქტიური ნარჩენების ექსპორტის ნებართვა, სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა და სხვა.[132] პირმა შესაძლოა ასევე წარადგინოს საგადასახადო შეღავათით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ნებისმიერი პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ჩართულია საბაჟო ფორმალობის განხორციელებაში ან რომელსაც ეხება საბაჟო კონტროლი, ვალდებულია საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას მოთხოვნილი დოკუმენტი ან/და სხვა ინფორმაცია. აგრეთვე გაუწიოს დახმარება აღნიშნული საბაჟო ფორმალობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებაში, ამასთან დართული დოკუმენტი იყოს ნამდვილი, სწორი და ძალაში მყოფი[133].

დოკუმენტის მოტყუებით გამოყენებაში ჩაითვლება სახელმწიფო კონტროლისათვის ყალბი დოკუმენტის წარდგენა, დოკუმენტის წარდგენა გაყალბებული მონაცემებით, აგრეთვე უკანონოდ მიღებული, შევსებული ან დამოწმებული დოკუმენტის წარდგენა[134]. დამნაშავეები ხშირად ინვოისის გაყალბებისა და მისი წარდგენის ხერხს მიმართავენ.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდება[135]. იდენტიფიკაციის საშუალებებია (ნიშნებია) შტამპი, ბეჭედი, პლომბი, ლუქი, მწებავი ლენტი, ტომრები, შესაფუთი მასალები, ზონარი და სხვა, რომლებიც გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა იყოს მყარი და გამძლე დაზიანების მიმართ, შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა ან მოცილება დაზიანების, გატეხვის

---

[131] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №8, დანართი №8-II-01 საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას საჭირო ძირითადი დოკუმენტები

[132] იგივე. დანართი №8-II-02 -ლიცენზიები/ნებართვები/სერტიფიკატები

[133] საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-13 მუხლი.

[134] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ. 561.

[135] საქართველოს საბაჟო კოდექსის 27-ე.

(თვალნათლივი ნიშნების) გარეშე, უნდა იყოს იმგვარად კონსტრუირებული, რომ შეუძლებელი იყოს მათი კოპირება, გაყალბება ან მეორადი გამოყენება და სხვა[136].

საიდენტიფიკაციო საშუალებების მთავარი ფუნქცია არის საქონლის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა[137]. ეს ღონისძიება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფრთხე საბაჟო კონტროლქვეშ არსებული საქონელი უკანონოდ გამოვიდეს საბაჟო ზედამხედველობიდან და არ მოხდეს საქონლის უკანონო განკარგვა. მაგალითად, თუ ფიზიკური პირის მიერ ერთი საბაჟო ორგანოდან მეორე საბაჟო ორგანოში მისატანია საქონელი, ასეთ დროს მნიშვნელოვანია შეფუთვა ტომრებში და საბაჟო პლომბის დადება[138]. ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შეუძლებელია და უნდა მოხდეს საქონლის გადაადგილება უახლოეს საბაჟო ორგანომდე ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა ადგილამდე დათვალიერების განხორციელების მიზნით.

საბაჟო ორგანო აუცილებლად ახორციელებს საქონლის ნიშანდებას, თუ საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შემოსულია საქონელი, რომელზეც არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები, როგორიცაა ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაექვემდებარა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი საქონელი, რომლის შემოტანაც იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და კანონით დადგენილ სხვა შემთხვევებში.[139]

საბაჟო ორგანო ვალდებულია, საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული ნიშანდების შესახებ მონაცემები დააფიქსიროს რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან ელექტრონულად შევსებულ მოწმობაში, ასევე TIR წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR წიგნაკის საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებელ მოსახევ ფურცელსა და ყუაზე, ხოლო ATA წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – ასევე ATA წიგნაკის ყდისა და შესაბამისი ვაუჩერის

---

[136] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №2, 30-ე მუხლი.

[137] ურიდია გ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა., საბაჟო კოდექსის კომენტარები.თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2007, გვ.172

[138] იგივე. 170გვ.

[139] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №2, 31-ე მუხლი.

(მოსახევი ფურცლის) უკანა გვერდზე მითითებული, საქონლის საერთო ჩამონათვალის მე-7 გრაფაში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს, ასევე ტრანზიტისას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოცხადებისას, საბაჟო ორგანო საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობას, მათი რეკვიზიტების შემოწმებას თანმხლები დოკუმენტების მიხედვით, ხოლო საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილების ან/და განადგურების შემთხვევაში, ადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს[140].

იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენება იქნება ბეჭდის, შტამპის ან მარკირების სხვა საშუალებების გაყალბება, მსგავსი ფალსიფიცირებული საიდენტიფიკაციო ნიშნების დასმა საზღვარზე გადასატან ნივთებზე[141].

2.1.4.4 მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით

საქონლის დეკლარირებისთვის საჭირო დეკლარაციები, იმის მიხედვით თუ პირს რომელ საბაჟო რეჟიმში სურს საქონლის მოქცევა, განსახვავებული და მრავლმხრივია. საბაჟო დეკალრაციის 2 სახე არსებობს, სტანდარტული და გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია. კანონი ჩამოთვლის სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის ფორმებს, რომლებიც შესაძლოა იყოს საქონლის საბაჟო დეკლარაცია, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია, ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია და სხვა[142].

საბაჟო კანონმდებლობა იცნობს დოკუმენტებს, რომელებიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითვლება საბაჟო დეკლარაციად. მაგალითად, ტრანზიტის შემთხვევაში დეკლარაციას უთანაბრდება რკინიგზის ელექტრონული,

---

[140] იგივე. 36-ე მუხლი.

[141] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ.562

[142] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №8, მე-4 მუხლი.

ავტოსატრანსპორტო საშუალების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობები, TIR და ATA -წიგნაკები[143].

დეკლარაციაში შეტანილ უნდა იქნას გადასატანი საქონლის შესახებ მონაცემები. როგორიცაა დასახელება, რაოდენობა, წონა, წარმოშობის ქვეყანა, იმპორტიორი, ექსპორტიორი, საიდენტიფიკაციო მონაცემები, საბაჟო ღირებულება და სხვა. თუმცა ყველა სახის მონაცემის არასწორად შეტანა როდი გულისხმობს დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანას. მაგ. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ დეკლარაციაში პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების არასწორად ჩაწერა არ გვაძლევს აღნიშნულ ქმედების შემადგენლობას, მთავარია არ მოხდეს ისეთი მონაცემების არასწორი დეკლარირება, რომელიც გავლენას ახდენს საბაჟო გადასახდელებზე.

საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებას ახორციელებს საბაჟო ორგანო, კანონით დადგენილ ზოგ შემთხვევებში კი - თავად დეკლარანტი, მისი წარმომადგენელი ან გადამზიდავი, რომელიც აგრეთვე ასრულებს პირის წარმომადგენლობას[144]. მაგალითად, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ს ავსებს (გარდა საფოსტო გზავნილით შემოტანილი ან გასატანი საქონლისა) დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის თხოვნით მომართვის საფუძველზე – საბაჟო ორგანო[145]. ამასთან, პირი ავსებს საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადს. იმ შემთხვევაში თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ში შესაძლებელია მიეთითოს საქონლის ექსპერტიზის/დათვალიერების საფუძველზე განსაზღვრული ღირებულება.

ზემოაღნიშნული პროცედურის ცოდნას პრაქტიკისთვის და ქმედების კვალიფიკაციისთვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ვინაიდან, მსგავს შემთხვევაში დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანასთან ერთად გვექნება დოკუმენტის მოტყუებით გამოყენებაც, რადგან საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ავსებს დეკლარაციას პირის მიერ მიწოდებული ისეთი ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცაა გაყალბებული CMR - სატრანსპორტო ზედდებული, პრეფერენციული სერთიფიკატი ან ინვოისი და სხვა. მსგავს განმარტებას აკეთებს თბილისის საქალაქო სასამართლო 2019 წლის 31 მაისის განაჩენით, სადაც ვკითხულობთ, რომ დეკლარაციაში ყალბი მონაცემის შეტანა ნიშნავს ერთ-ერთ ძირითად საბაჟო დოკუმენტში - ინვოისში გადასატანი ნივთების შესახებ არასწორი მონაცემების შეტანას.

---

[143] იგივე, დანართი 7, მე-2 მუხლი.

[144] იგივე, დანართი 8. მე-5 მუხლი.

[145] იგივე, დანართი 8 . 25-ე მუხლი.

საბაჟო პროცედურების თავისებურებებიდან გამომდინარე, საქონლის საბაჟო საზღვარზე გადატანა ან გადმოტანა ჩადენილი მხოლოდ საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით იმ შემთხვევაში გვექნება სახეზე, თუ პირი თავად შეავსებს ელექტრონულად დეკლარაციას ან წარადგენს საბაჟო ორგანოში არასწორი სეს ესნ კოდის ან სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემის მითითებით, რომლელიც კუთვნილზე ნაკლები ოდენობით იმპორტის გადასახდელებს დარიცხვას გამოიწვევს.

საინტერესოა, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როდესაც პირი საქონელს რეალურად შემოტანილ/შემოსატანზე ნაკლები ოდენობით ადეკლარირებს ან დეკლარირებულის ნაცვლად სულ სხვა საქონელი შემოაქვს ან გადააქვს? მსგავსი შემთხვევები დაკვალიფიცირდება როგორც საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადაადგილება საბაჟო კონტროლისაგან მალულად თუ საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით? ამ მხრივ პრაქტიკა არაერთგვაროვანი და მრავალმხრივია.

მნიშვნელოვანია ასევე იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა შეფასდეს პირის ქმედება, როცა განზრახ სხვა ფორმის დეკლარაციას ავსებს და საქონელს იმ საბაჟო პროცედურაში აქცევს, რომელიც არ წარმოშობს იმპორტის გადასახდელების გადახდის ვალდებულებას, მაგ. ტრანზიტის ან რეექსპორტის პროცედურაში, რეალურად კი საქონელი ქვეყანაში შემოაქვს და მის რეალიზაციას ახდენს ?

ტრანზიტის შემთხვევაში სასამართლო თვლის, რომ ქმედების განხორციელება შესაძლებელია კომბინაციურად, მალულად და დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.მრუსთავის საქალაქო სასამართლომ, 2006 წლის 24 ივლისის განაჩენით მსგავსად დააკვალიფიცირა ბრალდებულ ო. ა-ს ქმედება. სადაც დაადგინა, რომ ო. ა - მ 2005 წლის 27 იანვარს საქართველო-აზერბაიჯანის ნეიტრალურ ზონაში მდებარე ბაზრობაზე შეიძინა 1900კგ კივი, 700კგ კიტრი და 359კგ ნიორი, რომელიც საბაჟო გამშვებ პუნქტ ,,---ის” გავლით შემოიტანა საქართველოში, რა დროსაც საბაჟო საზღვარზე მას გამოუწერეს ტრანზიტის საბაჟო დეკლარაცია და გადაიხადა 100 ლარი. ამ დეკლარაციის მიხედვით, მას აღნიშნული საქონელი უნდა გადაეტანა რუსეთის ფედერაციაში. ამის მაგივრად ო. ა-ვი გაემართა ქ. თბილისში და 2005 წლის 28 იანვარს, 3 საათზე, იგი შევიდა ცენტრალური სუპერმარკეტის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ეზოში და ერთ-ერთ საწყობთან მთლიანად გადმოცალა ა/მანქანის საბარგულში არსებული საქონელი _ 1900კგ კივი, 700კგ კიტრი და 359კგ ნიორი, რომლის საბაჟო ღირებულებამ, შპს ,,---ის” ცნობით, შეადგინა 3815 ლარი, რის შემდეგაც გაემართა თავის საცხოვრებელ ბინაში.

რეექსპორტის რეჟიმში მოქცევის დროს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან[146]. არც აღნიშნული საბაჟო პროცედურა იწვევს იმპორტის გადასახდელების წარმოშობას. იმ შემთხვევაში თუ პირმა საქონელი განზრახ მოაქცია რეექსპორტის რეჟიმში და რეალურად კი საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე გაასხვისა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადმოტანა დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

როგორც ვხედავთ 214-ე მუხლი არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ამ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ჩამოთვლილი რომელიმე ერთი ქმედების განხორციელებითაა შესაძლებელი. სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და ერთობლიობაში ფასდება პირის ყველა მოქმედება. თუ პირმა საზღვარზე შემოსვლისას საქონელი სამალავში მოათავსა და ამავდროულად საბაჟო ორგანოს დეკლარაციის შესავსებად ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტი მიაწოდა, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა მალულად, დოკუმენტის ყალბი გამოყენებითა და დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

2.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა - განზრახვა

მოქმედი ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 და მე-10 მუხლებიდან გამომდინარე, დანაშაული შეიძლება განზრახ ან გაუფრთხილებლობით. მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დასჯადია მხოლოდ განზრახი ქმედება, თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების დასჯადობაზე არ არის მითითებული კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში. განზრახი დანაშაულის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალური მიზანი, სპეციალური ცოდნა და უმართლობის დამაფუძნებელი სხვა მოტივები[147].

სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული შესაძლებელია ჩადენილ იქნეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ საბაჟო წესის დარღვევით გადაადგილებს დიდი ოდენობით მოძრავ ნივთებს საბაჟო საზღვარზე და სურს ეს[148].

---

[146] საქართველოს საბაჟო კოდექსის 160-ე მუხლი.

[147] ტურვა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა. გვ.127

[148] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივნისის განაჩენი.

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე ყველანაირი პირობა არის შექმნილი პირების ინფორმირებისთის. საპასპორტო კონტროლის გავლამდეც და შემდეგ საბაჟო კონტროლის ზონაშიც განთავსებულია ბანერები, რომლებზედაც რამდენიმე ენაზეა წარწერები შესრულებული, რათა მგზავრმა მიიღოს ინფორმაცია თუ რომელი ნივთები ექვემდებარება დეკლარირებას და რომელი არა. ამასთან, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მებაჟე ოფიცრების მიერ ტარდება ზეპირი ინტერვიურება, რა დროსაც მგზავრებს ეკითხებიან რაიმე ისეთი საგანი ხომ არ მოაქვთ თან, რაც დეკლარირებას საჭიროებს. შესაბამისად, პირმა იცის, რომ ჩადის კანონით აკრძალულ ქმედებას და მაინც სურს საბაჟო კონტროლის მალულად ნივთების გადმოტანა.

პირის ცოდნისა და ნებელობის შესამოწმებლად, სასამართლოები ყურადღებას აქცევენ მგზავრის მიერ განხორციელებულ საზღვრის კვეთის რაოდენობას, კერძოდ რამდენი მისვლა/მოსვლა უფიქსირდება საზღვარზე, რომელიც აღირიცხება შემოსავლების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონულ ბაზებში. თბილისის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების ცოდნა დასტურდება იმ გარემოებითაც, რომ გ. ს -ს სხვადასხვა პერიოდში 20-ჯერ აქვს გადმოკვეთილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ერთი მხრივ საბაჟო კონტროლის ზონაში განთავსებული საინფორმაციო ბანერების და მებაჟესთან ინტერვიურების ფონზე, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სისტემატურად კვეთის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულისთვის ცნობილი და აღქმადი იყო საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესები, თუმცა მან ეს წესები განზრახ, შეგნებულად დაარღვია, რითაც ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით[149].

დეკლარაციისა და მისი თანხმლები დოკუმენტის წარდგენასთან დაკავშირებით, პირი როდესაც აწვდის ცრუ ინფორმაციას გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, რა თქმა უნდა ეჭვგარეშეა, რომ მისი მიზანია თავი აარიდოს შესაბამის საგადასახადო ვალდებულებას, რაც დაეკისრებოდა დეკლარაციაში ყველა მონაცემის სწორად ასახვის შემთხვევაში. შემოსავლების სამსახურის მუშაკების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეკლარანტები ხშირად თავს არიდებენ და არ უთითებენ ინვოისში ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან ინფორმაციას საქონლის მიწოდების პირობების თაობაზე, ვინაიდან საქართველოს საბაჟო საზღვრამდე

[149] იგივე.

განხორციელებული ტრანსპორტირების ხარჯები ნივთის საბაჟო ღირებულებაში შეიტანება და ზრდის მის ოდენობას, არ სურთ ამ ხარჯის გამოჩენა.

თავი III. დაუმთავრებელი დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დაუმთავრებელი დანაშაულის 2 სახეს სცნობს, დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას.

კანონის მიხედვით, დანაშაულის მომზადება არის დანაშაულის ჩადენისათვის პირობების მხოლოდ განზრახ შექმნა. დანაშაულის მცდელობა კი არის განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის გახორციელების დაწყების გზით, მაგრამ ამ ეტაპზე დანაშაული ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიყვანილი[150].

დანაშაულის მომზადება სუბიექტურ სფეროში გულისხმობს პირის პირველ ნააზრევს დანაშაულის შესახებ, რომელიც მოტივირებულია კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ორგანიზებით, ხოლო ობიექტურ სფეროში - დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი სხვადასხვა პირობების შექმნას, როგორიცაა იარაღისა და სხვა საშუალებების შეძენა ან დამზადება, დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმება, მისი დაგეგმვა, შემთხვევის ადგილზე ჩასაფრება და ა.შ[151].

დანაშაული ფორმალური შემადგენლობის მქონეა და დამთავრებულად ითვლება საბაჟო საზღვარზე ნივთების გადაადგილების მომენტიდან[152]. სსკ-ის 214-ე მუხლში არ არის მის ფორმალურობაზე პირდაპირ მითითება, როგორც ეს თუნდაც ყაჩაღობის შემადგენლობაშია. 179-ე მუხლთან დაკავშირებით სიტყვები „ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა..“ ნათელს ხდის მის ფორმალურ შემადგენლობას. 214-ე მუხლს კი

[150] ტურვა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა. გვ 301.
[151] ტურვა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა. გვ 304
[152] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს განაჩენი

ფორმალური შემადგენლობის მქონედ საბაჟო სამართლის სპეციფიკა და საბაჟო პროცედურები ხდის.

საინტერესოა რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წინასწარ წარადგენს დეკლარაციას? ასეთ შემთხვევაშიც მომზადება იქნება სახეზე, ვინაიდან პირი დანაშაულის ჩადენის ხელშეწყობის პირობებს ქმნის, წინასწარი დეკლარირებით სახელმწიფოს აძლევს წინასწარ ცრუ ინფორმაციას შემოსატან საქონელთან დაკავშირებით, რომელის შემოტანად ამ დეკლარაციის წარდგენიდან 45 დღის ვადა აქვს მიცემული. შესაბამისად, ამ ქმედებით ის წინასწარ ამზადებს ნიადაგს ნივთების არალეგალური ხერხებით შემოტანისთვის.

დანაშაულის მომზადება იქნება აგრეთვე პირის მიერ გადმოსატანი ნივთების მოწესრიგება, მანქანაში სამალავის მომზადება ან შეუმჩნეველ ადგილას მათი განლაგება და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით მსოფლიოს ზოგიერთი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს საქონლის საბაჟო საზღვარზე პროცედურის დარღვევით გადმოტანის მცდელობას. მაგალითად ამერიკის კანონმდებლობით შესაბამისი მუხლი ეხება ყველა იმ პირს, ვინც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცნობიერებულად განახორციელებს თაღლითობას, კონტარბანდისტულ ქმედებას ან ექნება, თუნდაც მცდელობა მსგავსი დანაშაულის ჩადენის.[153]

საქართველოს კანონმდებლობით შესაძლებელია ექსპორტის შემთხვევაში გვქონდეს მცდელობა. ვინაიდან იმპორტისგან განსხვავებით, ექსპორტის დროს ჯერ შესაბამის პროცედურებს გადის პირი და ყველაზე ბოლოს გადის საბაჟო საზღვრიდან. შესაძლოა პირი სწორედ საზღვრის გადაკვეთამდე იქნეს დაკავებული და თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლოს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ყველა ქმედება განახორციელა საამისოდ.

საქართველოს უზენაესი სასამრთლოს 2008 წლის 20 თებერვლის №2179 აპ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „ბრალდებულებმა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, ვინაიდან, მიუახლოვდნენ რა სოფელ სარფში განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტს და აპირებდნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას, რა დროსაც უნდა მოეხდინათ დაუდგენელ პირზე 87 525 ლარისა და 48 თეთრის ღირებულების შხამიანი ნივთიერების _ 10 კილოგრამი და 400 გრამი ლითონური ვერცხლისწყლის

[153] 18 U.S. Code CHAPTER 27, A. 545

რეალიზაცია, ისინი დააკავეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მუშაკებმა. რისთისაც დ.ჭ და გ.ქ ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19,214-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინეს საქართველოს საბაჟო საზღვარზე შხამიანი ნივთიერების წესის დარღვევით გადატანის მცდელობა ჯგუფურად.

თავი IV. დამამძიმებელი გარემოებები

სსკ-ის 214-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებში ჩამოთვლილია მაკვალიფიცირებელი გარემოებები. სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები დაკვალიფიცირდება აღნიშნული ნაწილით თუ პირის მიერ დანაშაული ჩადენილია არაერთგზის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ა) არაერთგზისი დანაშაული

სსკ-ის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. თუ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის პირს ნასამართლეობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს არაერთგზისობის დამამძიმებელი გარემოებით მისი ქმედების კვალიფიკაცია გაუმართლებელია[154].

პირის ქმედება არაერთგზისად რომ დაკვალიფიცირდეს, ის ერთხელ უნდა იყოს კონტრაბანდისთვის ნასამართლევი და თანაც ნასამართლობა არ უნდა ჰქონდეს მოხსნილი.

საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსი სხვა შემთხვევებში აწესებს ერთნაირი ტიპის დანაშაულებზე არაერთგზისობას. მაგალითად, ამ კოდექსის 177-ე–186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა აღნიშნული მუხლებითა და ამ კოდექსის 224-ე, 231-ე, 237-ე, 264-ე

[154] მ. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2019 წელი, გვ. 645.

და 2861 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა[155]. მსგავს მითითებას სსკ-ის 214 -ე მუხლი არ შეიცავს, არადა მრავლად არის სხვა ისეთი დანაშაულის შემადგენლობები კოდექსში, რომლებიც თვითონვე ადგენენ დანაშაულის საგნების იმპორტ/ექსპორტისთვის პასუხისმგებლობას, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა, რომელზეც პასუხისმგებლოდა დაწესებულია სსკ-ის 262 -ე მუხლით.

ამასთან, მნიშვნელოვანია დავუკვირდეთ, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე ნაწილები, განსხვავებული თვისობრიობისა და მახასიათებლების მქონე საგნების შემოტანა/გატანაზე აწესებს პასუხისმგებლობას, შესაბამისად, აღნიშნული ნაწილების მიხედვით დამნაშავეთა განხორციელებული ქმედებებიც განსხვავებული საშიშროების შემცველი იყო დაცული სამართლებრივი სიკეთეებისთვის. მოცემული ჩანაწერით პირი, რომელიც ნასამართლევია სამეწარმეო საქმიანობისთვის განკუთვნილი, თავისუფალ ბრუნვაში დაშვებული მოძრავი ნივთების შემოტანისთვის და პირი, რომელიც ნასამართლევია შხამიანი ან რადიოაქტიური ნივთიერებების საბაჟო წესების დარღვევით შემოტანისთვის, განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თანაბარ სასჯელს მიიღებენ - რვიდან თერთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს 4 დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც არაერთგზისობის დროსაც იმდენივეა. უმჯობესია აღნიშნულ შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოებები არ იყოს მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებისთვის გაერთიანებული და დადგინდეს შესაბამისი ნაწილების მიხედვით, როგორც ეს კოდექსის სხვა მუხლებთან დაკავშირებით ხდება.

ბ) დანაშაული ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

რაც შეეხება მოხელის მიერ წესების დარღვევას მოხელის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აღნიშნული ქვეპუნქტით კვალიფიკაციისთვის აუცილებლად უნდა არსებობდეს სამი პირობა კუმულაციურად: 1. პირი უნდა იყოს მოხელე ან მოხელესთან გათანაბრებული პირი, 2. ასეთმა პირმა სამსახურებრივი

[155] სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლი.

მდგომარეობა უნდა გამოიყენოს და 3. ჩაიდინოს სსკ-ის 214-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებიდან რომელიმე.[156]

მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი ამ შემთხვევაში შესაძლოა იყოს შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი, რომელიც მუშაობს საბაჟო გამშვებ პუნქტში ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში. აღნიშნული ქვეპუნქტით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი იყოს დანაშაულის ამსრულებელი და არა თანამონაწილე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 25-ე მუხლისა და 214-ე მუხლის პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე ნაწილებზე მითითებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 თებერვლის განაჩენით ნ.ც - ს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია; საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადმოტანისას დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით დახმარებისთვის. ვინაიდან, როგორც მოხელემ, სამსახურებრივი უფლებამოსილება გამოიყენა ბოროტად, არ შეასრულა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, გ. ღ-სათვის გამორჩენისა და უპირატესობის მინიჭების მიზნით, არ მოახდინა ტვირთის იდენტიფიკაცია ანუ დეკლარაციაში მითითებული მონაცემების შედარება რეალურად არსებულ საქონელთან და საბაჟო დოკუმენტში მითითებული ყალბი მონაცემების სისწორე დეკლარაციაზე ნომრის მინიჭებით დაუდასტურა გ. ღ-ლს, რითაც ამ უკანასკნელს მიანიჭა უპირატესობა და დაეხმარა მოეხდინა 25640 კგ საქონლის განბაჟება, რომლის საბაჟო ღირებულება, გაყალბებული მონაცემებით, შეადგენდა 60614, 53 ლარს, საიდანაც ტვირთის იმპორტიორმა გადაიხადა ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მხოლოდ ნაწილი, კერძოდ _ 18 623, 94 ლარი. აღნიშნულის გამო ნ.ც ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლის III ნაწილით, 25-ე მუხლით, 214-ე მუხლის II ნაწილითა და სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით.

ამასთან, როგორც ვხედავთ, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია ყოველთვის უნდა განხორციელდეს სსკ-ის 332 -ე

[156] მ. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2019 წელი, გვ. 645.

მუხლთან ერთობლიობით. ვინაიდან, პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ხდება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად. ხოლო, თუ პირმა მსგავსი საქმისთვის ქონებრივი ან რაიმე სახის მატერიალური სარგებელი მიიღო, ქმედება სსკ-ის 338-ე მუხლთან ერთობლიობით დაკვალიფიცრდება.

საქართველოს საბაჟო კოდექსის იცნობს განსხვავებული (იგივე გამარტივებული) საბაჟო კონტროლის განხორციელების წესს, რომელიც გამოიყენება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანამდებობის პირების ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიმართ[157]. ეს პირები შესაძლოა იყვნენ როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური, ისე სხვა მაღალი იერარქიის პირები. ზემოაღნიშნული პირების, მათი ოჯახის წევრების და ასევე პირადი ნივთების საბაჟო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გამარტივებული წესით[158]. არსებობს, რა რისკი ამ საბაჟო პროცედურების ბოროტად გამოყენებისა, რეკომენდირებულია, მათზეც დაწესდეს დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლში.

გ) ქმედება განხორციელებული საბაჟო კონტროლის განმახორციელებლის მიმართ ძალადობით

ძალადობაში მოიაზრება როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური/ფსიქოლოგიური ძალადობა. ფიზიკური ძალადობა გამოიხატება ცემაში ან სხვაგვარ ძალადობაში. ცემა არის სხვის სხეულზე ერთჯერადი ან მრავალჯერადი ხელის დარტყმა, რომელიც იწვევს მხოლოდდამხოლოდ დროებით ტკივილს. სხვაგვარ ძალადობაში გამოიხატება თმებით თრევა, სიგარეტით ან სხვა თერმული საშუალებით პირზე ზემოქმედება.[159]

ძალადობის სხვადასხვა ხერხებით შესაძლოა პირმა ზემოქმედება მოახდინოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლის მიმართ, აიძულოს საბაჟო დეკლარაციაში ყალბი მონაცემები შეტანა, მოსთხოვოს მიწოდებული დოკუმენტების უპირობოდ გამოყენება დეკლარაციის შევსების დროს, ძალისმიერად

---

[157] საქართველოს საბაჟო კოდექსის 27-ე მუხლი.

[158] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანების დანართი №2. მე-4 მუხლი.

[159] მ. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2019 წელი, გვ. 166-167.

დაითანხmოს საზღვარზე არ მოახდინოს რეაგირება მის მიერ საქონლის გადმოტანის ფაქტზე და ა.შ.

როგორც სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს აღნიშნულმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგიც კი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით სსკ-ის 214-ეს შესაბამისი ნაწილი და დამდგარი შედეგის მიხედვით.

დ) ქმედება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად[160]. რამდენადაც წინასწარი შეთანხმება ჯგუფის მიერ ამ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებებად გაითვალისწინა კანონმდებელმა, ამდენად 214-ე მუხლის პირველ ნაწილში შეიძლება მოვიაზროთ შეუთანხმებელი ჯგუფი ან ერთპიროვნული ამსრულებელი[161].

დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა[162].

ორგანიზებული ჯგუფი, ისევე როგორც ბანდა, შეიძლება შეიქმნას ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად[163].

---

[160] სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი.

[161] ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა,2016 წელი, გვ.564.

[162] სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლი.

[163] მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეცხრე გამოცემა, 2013 წელი, გვ.346

სსკ-ის 214-ე მულის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამავე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ან მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ არის მეტი საშიშროების შემცველი. ვინაიდან, მათ მიერ ჩადენილი ქმედება უფრო რთულად გამოსაძიებელია და მის წინააღმდეგ ბრძოლაც შედარებით რთულია.

დასკვნა

ნორმის განხილვამ დაგვანახა მისი მნიშვნელობა, აქტუალურობა, როლი და ადგილი სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში საკანონმდებლო აქტების გარჩევით, სასმართლო პრაქტიკისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზით გამოიკვეთა ის პრობლემები და ხარვეზები რომლებიც ამ კრიტიკულად მნიშვნელოვან მუხლთან დაკავშირებით არსებობს.

შევჯერდით საკანონმდებლო განახლებების საჭიროებაზე. დროის სვლასთან ერთად მრავალჯერ შეიცვალა ის ნორმატიული აქტები, რომელთა მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვას სისხლისსამართლებრივი წესით 214-ე მუხლი უზრუნველყოფდა, ხოლო თავად 214-ე მუხლში წლებია არაფერი შეცვლილა. ბლანკეტურობიდან გამომდინარე, მუხლმა მხარი უნდა აუბას საკანონმდებლო ცვლილებებს. ეს არ გულისხმობს შესაბამისი აქტების ყოველ საკანონმდებლო შესწორებაზე სსკ-ის 214-ე მუხლის შესაბამისი დისპოზიციის შეცვლას. როგორც დავინახეთ ძალიან ბევრი კანონი შეიცვალა, აგრეთვე ტერმინებს შეეცვალათ განმარტებები და სხვა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი რადიოაქტიური ნივთიერება სულაც არ ყოფილა საშიში და ბრუნვიდან ამოღებული, ვინაიდან საყოფაცხოვრებო ნივთებიც შეიცავენ რადიოაქტიურ ნივთიერებებს. უნდა დადგინდეს, კონკრეტულად რომელი ჯგუფის ან კატეგორიის რადიოაქტიური ნივთიერებაა ამ მუხლის სამიზნე. ამასთან, ვახსენეთ რადიოაქტიური ნარჩენების მნიშვნელობა და მათგან მომდინარე საფრთხეები, რის გამოც აუცილებელია მათზეც გავრცელდეს სსკ-ის 214-ე მუხლის მე-4 ნაწილი. აგრეთვე უნდა მოწესრიგდეს კვალიფიკაციის პრობლემები რადიოაქტიურ ნივთიერების შემოტანა-გატანასთან დაკავშირებით. აუცილებელია მიჯნის გავლება 230-ე და 214-ე მუხლებს შორის, ვინაიდან რეალურად გამოდის, რომ ერთი ქმედებისთვის პირი დანაშაულთა ერთობლიობით ისჯება.

მნიშვნელოვანია გადაიხედოს სსკ-ის 214 მუხლის მე-4 ნაწილით ცეცხლსასროლი იარაღის შემოტანა-გატანისთვის პასუხისმგებლობა, ვინაიდან ჩამოთვლილ დანაშაულის საგნებს შორის, როგორიცაა საბრძოლო ტექნიკა, მასობრივი განადგურების იარაღი და სხვა. ცეცხლსასროლი იარაღი ყველაზე ნაკლები საფრთხის და საშიშროების შემცველია. უმჯობესი იქნებოდა 236-ე მუხლის დისპოზიციაში გადაინაცვლოს ქვეყანაში შემოტანა-გატანისთვის პასუხისმგებლობამ, როგორც ეს ნარკოტიკული დანაშაულების შემთხვევაშია. ასევე, მიმოვიხილეთ ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ნაწილების ბრუნვის წესთან დაკავშირებით როგორც კანონმდებლობა, ისე კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება და ვთქვით, რომ მათ შემოტანა-გატანაზეც და უნდა დაწესდეს სს პასუხისმგებლობა.

სწორი კვალიფიკაციისთვის, აუცილებელია, განიმარტოს რა არის შხამიანი და მომწამლავი ნივთიერება, რომელი ნივთიერებები ითვლებიან ასეთად. ასევე მნიშვნელოვანია მასობრივ განადგურების იარაღებთან დაკავშირებით მუხლის ნაწილი მოვიდეს შესაბამისობაში ქვეყნის განახლებულ ეროვნულ სტატეგიასთან.

მოსაწონია კანონმდებლის პათოსი კულტურული მემკვიდრეობის ნივთების ქვეყნიდან უკანონო გატანასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც აღმოჩნდა კულტურული მემკვიდრეობის ნივთების ჩამონათვალი ძალიან დიდია, თანაც სრულყოფილად არ არის ჯერ კიდევ რეესტრი დადგენილი (მათი პრაქტიკულად აღრიცხვაც შეუძლებელია) და შესაძლოა ბევრ მათგანს ძალიან მცირე, მიზერული ღირებულება გააჩნდეს, რის გამოც საჭიროა დაწესდეს აღნიშნულ საგნებზე საბაჟო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და შემდგომ ამისა განისაზღვროს ზღვარი ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას შორის. სს წესით არ შეიძლება ეროვნული საგანძურის და მცირე ღირებულების ნივთის გათანაბრება, მისი წარსულთან ასოცირების და სიძველის გამო.

პრობლემური ვითარებაა ძვირფას და ფერადი ლითონებთან დაკავშირებით. შესაბამისი ნორმატიული აქტი მათთან დაკავშირებით აღარ არსებობს, რითაც საფუძველი გამოეცალა ამ ჩანაწერსაც და თითქმის უფუნქციო გახდა. პრაქტიკამ კი იპოვა გამოსავალი და გადავიდა მათი საბაჟო ღირებულების მიხედვით დასჯადობაზე, მაგრამ აქვე თავს იჩენს მეორე უკიდურესობა, სასამართლოთა მრავალ გადაწყვეტილებებში მითითებულია, რომ პირი ისჯება დიდი ოდენობით საბაჟო ღირებულების საიუველირო ნაკეთობების წესის დარღვევით შემოტანაზე, მაშინ, როცა რეალურად არც კი არსებობს რაიმე სახის დეფინიცია და განსაზღვრება თუ რა არის საიუველირო ნაკეთობა და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის.

ნაშრომში ცალკე ქვეთავი დავუთმეთ ფულისა და ფასიანი ქაღალდის კონტრაბანდაზე სს პასუხისმგებლობის დაწესების მნიშვნელობას. დღესდღეობით ძალიან სახიფათოა მსოფლიოში არსებული გადარიცხვის სერვისებით სარგებლობა, ვინაიდან საბანკო და ელექტრონული ანგარიშები, კლიენტის ფულადი საშუალებების, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისათვის და მათი გადარიცხვა-გადმორიცხვის კონტროლისთვის უნიკალური საშუალებაა. დამნაშავეთათვის ბევრად ხელსაყრელია საბაჟო საზღვარზე ფულის მატერიალური სახით გადატანა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია დაწესდეს ფულისა და ფასიანი ქაღალდების კონტრაბანდაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სასჯელის დანიშვნის კუთხითაც დავინახეთ მთელი რიგი პრობლემები, მაგ, არაერთგზისი დანაშაულის შემთხვევაში უმჯობესი იქნება კანონი თუ ყველა დამნაშავეს არ გაათანაბრებს და 214-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებისთვის მსჯავრდებული პირებისთვის განმეორებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში თანაბარი სიმძიმის სასჯელები არ დაწესდება.

დამამძიმებელი გარემოებებს უნდა დაემატოს პასუხისმგებლობა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის, ვინაიდან არსებობს დიდი ალბათობაა საბაჟო საზღვარზე მათთვის სპეციალურად არსებული მსუბუქი, გამარტივებული რეგულაციების ბოროტად გამოყენებისა.

სსკ-ის 214-ე პირველ ნაწილთან დაკავშირებით გამოვკვეთეთ ის ხარვეზები, რომელიც არსებობს ნივთის საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე დაწესებულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და ვთქვით, რომ დღევანდელ დროში ლარის ღირებულებისა და ვალუტის კურსის გათვალისწინებით უმჯობესია დაწესებული 15 000 ლარიანი ზღვარი გაიზარდოს ან საბაჟო გადასახდელების ოდენობაზე იქნას დამოკიდებული. ასევე ჩვენი რეკომენდაციაა, რომ სსკ-ის 214-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილთან მიმართებით დაწესდეს ისეთი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემამსუბუქებელი გარემოება, როგორც ეს სსკ-ის 218-ე მუხლის შემთხვევაშია გათვალისწინებული.

ბიბლიოგრაფია

1. როგავა ზ., საგადასახადო სამართალი, იურისტების სამყარო, 2017 წელი,

2. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეექვსე გამოცემა, მერიდიანი, 2016 წელი.

3. ლეკვეიშვილი, კ. მამულაშვილი, ნ. თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, მერიდიანი, 2017 წელი.

4. დვალიძე ი., მახარობლიძე გ., სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლება და სისხლის სამართლით დაცული სამართლებრივი სიკეთე. თბილისი, საუნჯე, 2016.

5. ურიდია გ., რუხაია ფ., ბაკურიძე ა., საბაჟო კოდექსის კომენტარები. თბილისი, შპს „პოლიგრაფი“, 2007.

6. მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მეცხრე გამოცემა, მერიდიანი, 2013 წელი.

7. ხარაზი-ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი, 2002

8. ფანჩულიძე ლ., სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა საბაჟო წესის დარღვევისთვის, თბილისი, 2019.
9. Aurel Octavian PASAT, Comparative analysis in the field of customs offenses and criminal regulations in certain states in relation to the legislation of the Republic of Moldova,2017.
10. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: ლოგოს პრესი, 2004
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, 2020 წლის წლიური ანგარიში

12. საქართველოს კონსტიტუცია

13. სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ როტერდამის კონვენცია

14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

15. საქართველოს საბაჟო კოდექსი

16. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

17. US Code: Title 18. Code CHAPTER 27—CUSTOMS

18. penal code Estonia

19. "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი

20. „ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების სახელმწიფო კონტროლის, ანალიზისა და დადამღვის შესახებ" საქართველოს კანონი

21. „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონი.

22. „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ" საქართველოს კანონი

23. „რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ" საქართველოს კანონი.

24. „იარაღის შესახებ" საქართველოს კანონი

25. „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი.

26. „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი

27. სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ საქართველოს კანონი

28. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" 2020 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N429 დადგენილება.

29. საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში, აეროპორტებში, ნავსადგურებსა და საზღვაო სივრცეში ბირთვულ და რადიოაქტიურ ნივთიერებათა აღმოჩენისას განგაშზე ერთობლივი მოქმედების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 დეკემბერის №397 დადგენილება.

30. „ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების 2021 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" სქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის N208 დადგენილება.

31. „საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების", „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დანაკლისის ტექნიკური გამოკვლევისა

და აღრიცხვის ინსტრუქციის“, „ფეთქებადი მასალების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2006 წლის 16 მაისი №95 დადგენილება.

32. „საქართველოს ტერიტორიაზე წარმოების, გამოყენებისა და ექსპორტ-იმპორტის აკრძალვას ან მკაცრად შეზღუდულ გამოყენებას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 26 მარტის №133/ნ ბრძანება.

33. „ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 8 დეკემბერი №150 ბრძანება.

34. “სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N301/ნ ბრძანება.

35. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №5) „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქცია.

36. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქცია.

37. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №3) „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქცია.

38. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №7) ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქცია.

39. „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი№8) საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქცია.

40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის №ბს-572-572 (2კ-18) გადაწყვეტილება.

41. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს განაჩენი.

42. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განაჩენი.

43. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 მარტის განაჩენი.

44. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 13 ივნისის განაჩენი.

45. https://exportcontrol.mod.gov.ge/pages/33
46. FAQ: Bulk Cash Smuggling | ICE)
47. საერთაშორისო სანქციები და ემბარგო - იარაღისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი (mod.gov.ge);

48. Bulk Cash Smuggling | Miami Criminal Defense Attorney (paulpetruzzi.com)

49. https://exportcontrol.mod.gov.ge/index

50. https://old.rs.ge/4995
51. 2019 წლის მაკროეკონომიკური მიმოხილვა, https://www.mof.ge/5303#

52. https://www.heritagesites.ge/uploads/files/5b2b7878e604f.pdf
53. https://www.poison.org/common-and-dangerous-poisons

54. საქართველოს პროკურატურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, წერილის N13/35540

55. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2021 წლის 29 ივნისის №21-10/82247 წერილი.